შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №1,2,3 იანვარი, თებერვალი, მარტი. 2011

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ტრენინგები ჩაატარა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აჭარაში არსებული უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებზე ორდღიანი ტრენინგი ჩაატარა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა დავით კერესელიძემ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურასა და საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შემუშავება-დახვეწის საკითხებზე ისუბრა. შეკრებილთ ასევე ის რჩევები და რეკომენდაციები გააცნო, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გავლაში დაეხმარება.

დიდი ბრიტანეთის სურსათისა და გარემოს კვლევის სააგენტოს ექსპერტის რიჩარდ თუეითსის საჯარო ლექცია

დიდი ბრიტანეთის სურსათისა და გარემოს კვლევის სააგენტოს (FERA) წამყვანმა სპეციალისტმა მოლეკულურ ბიოლოგიაში რიჩარდ თუეითსმა საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: ,,დიდი ბრიტანეთის სურსათისა და გარემოს კვლევის სააგენტოსა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტს შორის სამეცნიერო თანამშრომლობა„. ექსპერტმა საერთაშორისო სამეცნიერო - ტექნიკური ცენტრის (ISTC) საპარტნიორო პროექტის (№G 1775P) ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა: სამი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურის დაავადებისადმი გამძლეობის შესწავლა მოსავლიანობის მართვის გზების გაუმჯობესების მიზნით

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში„ შედეგები შეაჯამა. პროექტი დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროსა და გლობალური პარტნიორობის პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება.

ღია კარის დღეები რეგიონებში

ღია კარის დღეების ფარგლებში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარდგინება გაიმართა ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევის, ხულოს, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ფოთის, აბაშის, სენაკის, ხობისა და ზუგდიდის საჯარო სკოლების მეთორმეტე კლასელებისათვის. უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებმა მომავალ სტუდენტებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები, სერვისები, სტუდენტური ცხოვრება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სოციალური პროგრამები და რსუ-ს პარტნიორი უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამები გააცნეს. პროფესორ-მასწავლებლებმა აბიტურიენტებს საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგეს და აქტუალურ კითხვებს უპასუხეს.

საგანმანათლებლო პროგრამების წარდგინება დამსაქმებლებთან

შოთა რუსთაველის დარბაზში აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტებისა და ბიოლოგიის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაცია გაიმართა. დეკანებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა წარდგინებაზე მოწვეულ დამსაქმებელებს პროგრამების სტრუქტურა, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები, მიზნები, დასაქმების სფეროები და შედეგები გააცნეს. შეხვედრას აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სატყეო სააგენტოს, ბუნების დაცვის სამმართველოს, სამშენებლო კომპანიების, სამედიცინო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ლაბორატორიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დამსაქმებლებმა რჩევები საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში სპეციალური კითხვარის საშუალებით წარმოადგინეს, რაც მომავალში უშუალოდ სასწავლო პროცესზე აისახება.

ტურიზმის ფაკულტეტის პრეზენტაცია

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის ფაკულტეტის პრეზენტაცია გაიმართა. წარდგინებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე, ბათუმის მერი რობერტ ჩხაიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, წამყვანი სასტუმროების მენეჯერები, დარგის ექსპერტები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. სიტყვით გამოსვლისას აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ ფაკულტეტის შექმნის მნიშვნელობაზე, პერსპექტივებზე და ტურიზმის განვითარების აუცილებლობაზე ისაუბრა. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ მოწვეულ სტუმრებს ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები, ხოლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა როსტომ ბერიძემ საგანმანათლებლო პროგრამები გააცნო

ტურიზმის ფაკულტეტის მიზანია ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა და ტურიზმის დარგისათვის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადება. 2011-2012 სასწავლო წლისათვის ტურიზმის ფაკულტეტი საბაკალავრო პროგრამაზე 100, პროფესიულზე — 30 სტუდენტს მიიღებს.

კარების გახსნა და ხიდების აგება

ბრანდენბურგის პარლამენტის წევრის, მეცნიერების, კულტურისა და განათლების კომისიის თავმჯდომარის იენს ლიპსდორფისა და ბრანდენბურგი-საქართველოს საზოგადოების ხელმძღვანელის პავლე შპეტიშვილის ხელშეწყობით ქართველი პოლიტიკოსებისა და მეცნიერებისაგან შემდგარი დელეგაცია კოტბუსს ეწვია, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილე ჯამბულ სურმანიძე ხელმძღვანელობდა.

დელეგაცია 6 წევრისაგან შედგებოდა. სტუმრობის მიზანი ბრანდერბურგის ტექნიკურ უნივერსიტეტთან მეცნიერული თანამშრომლობის დამყარება გახლდათ. დელეგატებმა კარლ ტიმის სახელობის

კლინიკაც მოინახულეს, სადაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები განიხილეს. კულტურულ სფეროში ურთიერთთანამშრომლობის თვალსაზრისით გაიმართა დისკუსია ქალაქ ბათუმში ე. წ. „კულტურის კოლონიის“ დაარსების თაობაზე. ეს იდეა ბატონ იენს ლიპსდორფს 2010 წელს საქართველოში მოგზაურობის დროს დაებადა. სწორედ ის არის უშუალო შუამავალი ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან.

25 იანვარს დელეგაცია გაემართა ებერსვალდეს მდგრადი განვითარების უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან შესახვედრად.

ბრანდენბურგის ტექნიკური უნივერ-

დასასრული გვ – 2

დასაწყისი 1-გვ

სიტეტის რექტორ ბატონ ვალტერ ციმერ-ლიზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა მა-ღალკვალიფიციური პირებით დაკომპლექ-ტებულმა დელეგაციის შემადგენლობამ. ბატონმა ციმერლიმ დასძინა: „ჩვენი უმაღ-

ლესი სასწავლებლის ფილოსოფიაა მსგავსი ტიპის ვიზიტების შედეგების გეგმაზომიერი (დროული) რეალიზება“. აქვე იმყოფებოდა კოტბუსის მერი ბატონი ფრანკ სციმანსკი, რომელმაც დელეგაციის ინტერესი კოტბუ-სის მიმართ და ლაუზიცში გამართული მო-ლაპარაკებები დადებითად შეაფასა. სურათზე მარცხნივ თქვენ ხედავთ იენს ლიპ-სდორფს, გაიოზ ფარცხალა-ძეს (ბათუმის უნივერსიტე-ტის საინჟინრო მეცნიერებ-ათა ფაკულტეტის დეკანი), მიხეილ მჟავანაძეს (აჭარის პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე), ჯამბულ სურმანიძეს (აჭარის ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილე), ფრანკ სციმან-სკის, ალექსანდრე ბაკური-ძეს (ბათუმის შოთა რუსთა-ველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის რექტორი), ნელი ახვლედიანს (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი), მერაბ ქიძინიძეს (აჭარის პარლამენტის სამეცნიერო საბჭოს თავ-

მჯდომარე) და პავლე შპეტიშვილს (ბრან-დერბურგი-საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე).

ალექსანდრე ბაკურიძემ და პროფესორმა ციმერლიმ გაცვალეს სამახსოვრო საჩუქ-რები. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნ-ივერსიტეტის რექტორმა ბრანდენბურგის ტექნიკური უნივერსიტეტის რექ-ტორი ბატონი ციმერლი ბათუმის უნივერსიტეტში მოიწვია, სადაც შემდეგი ურთიერთთანამშრომ-ლობის კონკრეტულ პუნქტებზე ისაუბრებენ. უმაღლესი სასწავ-ლებლების ორივე მხარეებს შო-რის გამოცდილების გაზიარება საერთაშორისო დონეზე გაიმარ-თება.

ბრანდერბურგის ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ბათუმის შო-თა რუსთაველის უნივერსიტეტს შორის წამოჭრილ ურთიერთთა-ნამშრომლობის პუნქტებს შორის განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სტუ-დენტური პრაქტიკის გავლასა და პროფე-სორების მოწვევაზე ბათუმში სალექციო კურსების ჩატარების მიზნით.

ელექტროსადგურების ტექნიკის კათედ-რის კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელმა დოქტორმა მათიას კლატმა გააცნო დელე-გაციას რუხი ქვანახშირის გამოშრობისათ-ვის ჩატარებული კვლევების შედეგები და

CO2 გამოყოფის მაჩვენებლები ელექტრო-სადგურების ექსპლუატაციის დროს.

გარემოს დაცვის მეცნიერებათა და ტექ-ნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტმა,

ინჟინერმა ფოლკერ შონბერგმა გააცნო დე-ლეგაციას მეთანური რეაქტორის მუშაობ-ისა და ბიოგაზის წარმოების პრინციპები.

კარლ-თიმის კლინიკაში დელეგაციის წევ-რებმა და კლინიკის ხელმძღვანელობამ ისა-უბრეს სამედიცინო სფეროში თანამშრომ-ლობის შესახებ. კლინიკის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ჰაიდრუნ გრიუნევალდმა და მთავარმა ექიმმა, მეცნიერებათა დოქტორ-მა სამედიცინო დარგში თომას ერლერმა, რომელიც შესანიშნავად მეტყველებდა რუ-სულ ენაზე, ისაუბრეს ექიმების კვალიფიკა-ციის ამაღლების შესაძლებლობებზე. მთავ-რობის გადაწყვეტილებით საქართველოში შენდება 40 ახალი საავადმყოფო, აქედან 6 ბათუმში. ქართველები იმედოვნებენ, რომ შესაძლებელი იქნება ქართველი ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება გერმანიის კლი-ნიკებში. ამასთან დაკავშირებით ჯამბულ სურმანიძემ განაცხადა: „ჩვენ გერმანელი ექიმების კომპეტენტურობაში ეჭვი არ გვე-პარება და სრულიად ვენდობით მათ“.

ჯამბულ სურმანიძემ და მიხეილ მჟავანა-ძემ კლინიკის ხელმძღვანელ ჰაიდრუნ გრი-უნევალს საჩუქარი გადასცეს და ბათუმში მოიწვიეს.

საავადმყოფოს დათვალიერების დროს დელეგაციის წევრებში დიდი ინტერესი გა-მოიწვია კომპიუტერული სისტემით მარ-თულმა ხელსაწყომ, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პაციენტი-სათვის საჭირო მედიკამენ-ტების ზუსტი რაოდენობის ავტომატური დაფასოება.

კოტბუსის ხელოვნების ფაბრიკის ხელმძღვანელმა დოქტორმა დიტერ ტილმა 24 იანვარს გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ 2011 წელს ბატონი ლიპ-სდორფის ხელშეწყობით ბა-თუმში იგეგმება ე. წ. „ხელოვ-ნების კოლონიის“ დაარსება. პროექტს განახორციელებენ ოთხი კოტბუსელი ხელოვანი და მათი ბათუმელი კოლე-გები. დაგეგმილია აგრეთვე გამოფენები როგორც ბა-თუმში, ისევე კოტბუსში. იენს ლიპსდორფი, როგორც ბრანდერბურგის პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, მი-ესალმება ასეთი ტიპის თანამშრომლობის ფორმებს და ამბობს: „პოლიტიკას მხოლოდ კარის გაღება შეუძლია, ხიდების აშენება კი ხალხის კომპეტენციაში შედის“.

ბატონმა ალექსანდრე ბაკურიძემ მდგრა-დი განვითარების უმაღლესი სასწავლებ-ლის რექტორს, პროფესორ ვილჰელმ გი-უნტერ ვარსონს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა. ბრანდენბურგის ტექნიკური უნივერსიტეტის მსგავსად, ებერსვალდეს მდგრადი განვითარების უმაღლეს სასწავ-ლებელთანაც მომზადდა მემორანდუმი, რომელიც ხელმოწერის შემთხვევაში უმოკ-ლეს ვადაში ძალაში შევა. ბატონი ვარსონი სხვა მეცნიერებთან ერთად გეგმავს ბათუმ-ში გამგზავრებას და კონკრეტული პროექ-ტების შესახებ მოლაპარაკების გამართვას ტურიზმის მენეჯმენტის, ტყის დაცვისა და სატყეო მეურნეობის სფეროებში. სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებით გაიჟღერა „ჯადოსნური სიტყვა“ – ბამბუკი. ამაში კი ბათუმისა და ებერსვალდეს ბოტანიკური ბაღებიც იქნება ჩართული.

წიგნის პრეზენტაცია

2011 წლის 18 მარტს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნ-ივერსიტეტში გაიმართა წიგნის „ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის 18-20 მარტი“ პრეზენტაცია, რომელსაც აჭარის ა.რ.უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე და უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე ესწრებოდნენ. მონოგრაფია ეძღვნება 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის ბოლო პერიოდს — ბრძოლას ბათუმისათვის. ნაშრომში საკითხის ქართული და თურქული ისტორიოგრა-ფია, ბათუმსა და ბათუმის ოლქში არსებული ვითარება, ბა-თუმის გარშემო მიმდინარე დიპლომატიური მოვლენებია განხილული. სახელმძღვანელოს 11 ავტორი ჰყავს.

პრეზენტაციაზე სიტყვა პირველმა უნივერსიტეტის რექ-ტორმა წარმოთქვა. ისაუბრა 1921 წლის 18-29 მარტის ის-ტორიულ მნიშვნელობაზე და წიგნის ავტორებს მადლო-ბა გადაუხადა. „ისტორია ერის განუყოფელი ნაწილია და დარწმუნებული ვარ, ეს წიგნი თითოეული ჩვენგანისთვის სამაგიდო წიგნად იქცევა“.

წიგნი მალხაზ მაცაბერიძის რედაქტორობით დაიბეჭდა.

„აქ უკვე თავს სტუმრად აღარ ვგრძნობ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან და პროფესორ-მასწავლებლების-გან ყოველთვის კეთილი დამოკიდებულება გვხვდება. რაც შეეხება წიგნს, ეს ყველაფერი 90 წლის წინ სწორედ ბათუმ-ში ხდებოდა და აქედან გამომდინარე, ამ თემაზე საუბარი უმნიშვნელოვანესია“, — დასძინა ბატონმა მალხაზმა.

ისტორიკოსმა მალხაზ სიორიძემ პრობლემის ისტორიული ღირებულება მიმოიხილა. დასძინა ისიც, რომ ამ დღის ოფ-იციალურად ისტორიული აღნიშვნა 2005 წლიდან დაიწყო.

ოთარ ჯანელიძემ ჯგუფის წევრებს აქტიური მუშაობის-თვის მადლობა გადაუხადა. მისივე თქმით, კვლევამ უამრა-ვი ახალი ისეთი სახელი გამოავლინა, რომელთა ცოდნაც უმნიშვნელოვანესია.

„ჯერ კიდევ ბევრი მასალაა განსახილველი და სააშკ-არაოზე გამოსატანი. მიმაჩნია, რომ უნდა გაკეთდეს მე-მორიალური დაფა და ის ადგილი წმინდა ადგილად გა-მოცხადდეს. სამწუხაროდ, იოლად ვივიწყებთ ისტორიას, წარსულს... ეს ფაქტი კი მომავალი თაობისთვის ღამპრად დასანთებია. ხვალ ისინი მადლობას გვეტყვიან“, — გა-ნაცხადა პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა.

ჩვენ ყველას ერთად ბევრი საქმე გვაქვს საკეთებელი

უნივერსიტეტში ფაკულტეტების რეორგანიზაციის შედეგად განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი ჩამოყალიბდა. ვესაუბრებით ახლადარჩეულ დეკანს ქალბატონ მარინა ქორიძეს.

— გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს და დეკანის ოფიციალურ არჩევნებში გამარჯვებას, როგორ მიულოცავდით გაზაფხულის შემოსვლას მანდილოსნებს და რას უსურვებდით მათ?

— გაზაფხული ხომ განახლების ხანაა, ამიტომაც სიმბოლურია, როცა ჩვენში ქალთა ორი ლამაზი დღე სწორედ წელიწადის ამ ლამაზ დროს ემთხვევა. ქალი ხომ სიცოცხლისა და სიყვარულის სიმბოლოა, ამიტომაც მინდა ყველა ქალბატონს გაზაფხულის პირველი ყვავილებით – ყოჩივარდებით, იებითა და ენძელებით და სიბრძნის სიმბოლოდ აღიარებული ორქიდეებით მივულოცო ეს ლამაზი დღეები და შემოქმედებითი წინსვლა, ულევი სიხარული და ბედნიერება ვუსურვო. უფალი გფარავდეთ თითოეულ თქვენგანსა და სრულიად საქართველოს!

— ქალბატონო მარინა, უნივერსიტეტში რეორგანიზაცია განხორციელდა, რომლის შედეგადაც ხუთი ფაკულტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი. თქვენი აზრით, რა გახდა საფუძველი ასეთი მსხვილი გაერთიანებისა?

— 2005 წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეფორმები დაიწყო, რომლის მიზანი გახლდათ განათლების ხარისხის ზრდა, განათლებისა და კვლევების საერთაშორისო დონეზე ინტეგრაცია, სტუდენტებისა და პროფესორების მობილობა, აკრედიტაციის სისტემის სწორი განვითარება, სასწავლო პროგრამების გადახალისება. განისაზღვრა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა გააჩნდეთ სტრატეგია იმისათვის, რომ უზრუნველყონ მათი პროგრამებისა და მათ მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის ხარისხი.

უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმები და ცვლილებები განათლების სფეროში, ორგანულადაა დაკავშირებული ქვეყანის განვითარების სტრატეგიულ ხედვასთან. იკვეთება სახელმწიფო პრიორიტეტები, ვითარდება სხვადასხვა დარგი, იცვლება პროფესიული გარემო და დასაქმების სფეროები. ყოველივე ამან საქართველოს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში გამოიწვია, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე სტრუქტურული რეორგანიზაცია. ეს ცვლილები ჩვენ უნივერსიტეტზეც აისახა. როგორც მოგეხსენებათ, უნივერსიტეტში ხუთი ფაკულტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი. ანალოგები ევროპისა თუ აშშ–ს უნივერსიტეტებშიც არსებობს.

— განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტში გაერთიანდა ერთმანეთისაგან განსხვავებული მიმართულებები, პრიორიტეტად კი განათლების მიმართულება დასახელდა. რამდენად მოახერხებენ ისინი თანაცხოვრებას და ხომ არ ემუქრებათ საფრთხე უნივერსიტეტის ტრადიციულ მიმართულებებს?

— განათლების მიმართულება სახელმწიფო პრიორიტეტად გამოცხადდა. უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს საჯარო სკოლების კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფაზე, რაც გახლავთ განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის უმთავრესი მიზანი. ამ მიმართულებით ჩვენს უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი ტრადიციები გააჩნია, მაგრამ ბოლო წლებში სამწუხაროდ სკოლასა და უნივერსიტეტს შორის არ არსებობდა კოორდინაცია. საჯარო და კერძო სკოლები ჩვენი კურსდამთავრებულების პოტენციური დამსაქმებლები არიან, მათთან მუდმივი კონტაქტებისა და კონსულტაციების საფუძველზე ჩვენ უპირველეს ყოვლისა უნდა განვსაზღვროთ, როგორი მასწავლებელი სჭირდება დღეს მას, სწავლისა და სწავლების რა თანამედროვე მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ ისინი, რა მეთოდოლოგიებსა და ტექნოლოგიებს უნდა ფლობდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოვყალიბდეთ, როგორი სტრუქტურის საგანმანათლებლო პროგრამებს შევთავაზებთ ჩვენს სტუდენტებს. ამ მიმართულებით დღეს ფაკულტეტზე მუშაობა უკვე დაწყებულია. სახელმწიფო პრიორიტეტად გამოცხადებულია, როგორც განათლება, ასევე ფუნდამენტური დარგებიც (ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, ზუსტ მეცნიერებათა). ეს სწორედ ის მიმართულებებია, რომლის ბაზაზეც 75 წლის წინ აჭარაში ჩამოყალიბდა პირველი უმაღლესი სასწავლებლის ოთხი ფაკულტეტი, რომელმაც მრავალი ღირსეული თაობა გამოზარდა და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღეს საკმაოდ მაღალი კომპეტენციის სამეცნიერო–პედაგოგიური კადრები გვყავს. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში სამეცნიერო–კვლევით პრიორიტეტებზე სწორედ ამ მიმართულებით არის აქცენტი გაკეთებული. რის განხორციელებაც ფაკულტეტის პირდაპირი ვალდებულებაა. ცალკეული სპეციალობების მიხედვით იგეგმება სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდოლოგიების შემოტანა და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადება.

ეს პრიორიტეტები უნდა გახდეს ბაზისი საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომელთა გადამუშავებაც უკვე დაიწყო და იგი გაგრძელდება სწავლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სრულყოფისათვის. ფუნდამენტური მეცნიერებების პოპულარიზაციის მიზნით გაღრმავდება ურთიერთობები საჯარო თუ კერძო სკოლებთან, რაც გულისხმობს სამეცნიერო-პოპულარული ლექციების ჩატარებას, მოსწავლეთა ოლიმპიადების მოწყობასა და აბიტურიენტთა კონსულტირებას, უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების რეკლამირებას.

უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიაც ტრადიციული და ქვეყნისათვის პერსპექტიული დარგების განვითარებას ეფუძნება.

— სხვა მიმართულებებზე რას იტყვით?

— სრულყოფილი საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად მნიშვნელოვანია სრულყოფილი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, სადაც სხვათა გვერდით ღირსეული ადგილი დაეთმობა ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და ფილოსოფიის სწავლებას. ფაკულტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტად უცხო ენებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებაც უნდა დავასახელოთ, რადგან თანამედროვე მოთხოვნები ამის აუცილებლობას გვკარნახობს. ჩვენი რეგიონის გეოგრაფიული მდებარება და უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი საშუალებას იძლევა განვითარდეს ზღვის შემსწავლელი დარგები. საწუხაროდ, ამ ეტაპზე უნივერსიტეტში შესაბამისი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები არ ფუნქციონირებს. მათი აღდგენა და განვითარება ფაკულტეტის უახლოეს სამომავლო გეგმას წარმოადგენს.

ასევე ფაკულტეტი გეგმავს დანერგოს ახალი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები სამედიცინო და ეკოტურიზმის მიმართულებით, რაც ასევე სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ერთ–ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ პროცესში ჩვენ აუცილებლად ვითანამშრომლებთ ტურიზმის ფაკულტეტთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან.

დასაქმების ბაზრის კვლევამ გვიჩვენა, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, მათ შორის ჯანდაცვის სპეციალობისა, კარგად საქმდებიან შრომის ბაზარზე და პოსტდიპლომურ განათლების მიღებას ბევრი მათგანი საზღვარგარეთაც აგრძელებს. ასე, რომ განვითარების კარგი პერსპექტივები მედიცინის მიმართულებასაც აქვს, რომელიც ამ ეტაპზე ასევე ფაკულტეტის შემადგენლობაში შევიდა. აქვე აღვნიშნავ, რომ სამედიცინო კადრების აღზრდას ემსახურება კვალიფიციური პროფესორ–მასწავლებლები.

მიუხედავად მისი მასშტაბურობისა ვიმედოვნებ, რომ განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჯანსაღი გარემო და ურთიერთპატივისცემა დაისადგურებს. ჩვენ ყველას ერთად ბევრი საქმე გვაქვს საკეთებელი.

— ქალბატონო მარინა, ძირითადად ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ვისაუბრეთ, თუმცა უნივერსიტეტში სწავლების მეორე და მესამე საფეხურებიც ფუნქციონირებს. რა სამომავლო გეგმებს სახავთ ამ მიმართულებით?

— მნიშვნელოვანია მაგისტრატურისა და დოქტორანტურის გაძლიერება განათლების და სხვა პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებით. ამ მიზნით იგეგმება უცხოელი და ქართველი ექსპერტების მოწვევა, ტრეინინგების ჩატარება და მაგისტრანტთა, დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მათი მივლინება უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში.

–როგორია ახლადარჩეული დეკანის სამომავლო გეგმები?

— სამუშაო მართლაც რთული და ძალზედ საპასუხისმგებლოა, მით უმეტეს იმ პერიოდში, როდესაც წინ ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესი გველის. მართალია დეკანად არ მიმუშავია, მაგრამ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება გამაჩნია. 2006–2010 წლებში არჩეული ვიყავი აკადემიური საბჭოს წევრად და მდივნად. გახლდით ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სადაც არაჩვეულებრივი კოლექტივი და თბილი გარემო დამხვდა. მინდა აღვნიშნო, რომ მე და ჩემი კოლეგები ასეთ გარემოში გავიზარდეთ, ეს დამოკიდებულება ჩვენმა უფროსმა თაობამ, პროფესორ–მასწავლებლებმა და შემდგომში კი კოლეგებმა დაგვიტოვეს მემკვიდრეობით. მიხარია, რომ განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატშიც თანადგომის სურვილი და კეთილგანწყობა სუფევს, რაც საქმის კეთებაში გვეხმარება. სურვილი მაქვს თითოეული თანამშრომელი და სტუდენტი ინფორმირებული და ჩართული იყოს იმ პროცესებში, რომელიც ფაკულტეტზე მიმდინარეობს.

წარმატებული საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად უნდა შემუშავდეს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მიზანია განისაზღვროს ფაკულტეტის მისია, ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების პერსპექტივები. სტრატეგიული დაგეგმარება მიმდინარე, უწყვეტი, ინტუიციაზე, გამოცდილებაზე და იდეებზე ორიენტირებული პროცესია. დაუშვებელია მისი ერთპიროვნულად შემუშავება. ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს, როგორც ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მათთან შეხვედრებისა და კონსულტაციების შემდეგ უნდა მოხდეს იდეებისა და ინიციატივების გადამუშავება და ანალიზი. აუცილებელია სასწავლო, სამეცნიერო და კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა, დასაქმების სფეროს შესწავლა. მნიშვნელოვანია ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინება და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციაზე ორიენტირება.

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სახელწოდება განსაზღვრავს მის მისიას – განათლებაზე, ფუნდამენტურ კვლევებსა და მკვლევრების აღზრდაზე ორიენტირებული სწავლება, სადაც შესაძლებელი იქნება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პედაგოგიური კადრებისა და ინტერდისციპლინარულ და კომპლექსურ კვლევებზე ორიენტირებული მკვლევრების აღზრდა.

დასასრულს კი ერთი რამ მინდა ვთქვა: ჩვენ ძალზედ კვალიფიცირებული პროფესორ — მასწავლებლები და სწავლას მოტივირებული სტუდენტობა გვყავს. მინდა ყველამ ერთად ვიღვაწოთ იმ მნიშვნელოვანი საქმის საკეთებლად, რასაც ჩვენი მშობლიური, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქვია. ამას კი მხოლოდ ერთმანეთის თანადგომით შევძლებთ.

სემესტრული გამოცდები

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სემესტრული გამოცდები დაიწყო. როგორც გამოკითხვამ ცხადყო, სტუდენტები მეტ პასუხისმგებლობას იმ გამოცდების მიმართ განიცდიან, რომელთაც საგამოცდო ცენტრი ატარებს.

უნივერსიტეტში საგამოცდო ციებ-ცხელებაა. დერეფანში მდგომი სტუდენტების დიალოგი საგამოცდო საკითხებს, სემესტრის განმავლობაში დაგროვილ ქულათა რაოდენობას ან კიდევ თვით ლექტორის დახასიათებას შეეხება. ქსეროქსის შრიალი, წიგნების გადათვალიერება და გამეორება, აუდიტორიებთან მომლოდინე სტუდენტები, აჩქარებული ნაბიჯით მოსული ლექტორი და აუდიტორიის მიხურული კარები... გამოცდა დაიწყო. ეს უნივერსიტეტში არსებული რეალობაა.

ორი შუალედური წერა, სწრებადობა და სემინარებში აქტიურობა – ეს ის კომპონენტებია, რომლებსაც პროფესორ-მასწავლებლები ჯერ კიდევ გამოცდების დაწყებამდე აჯამებენ და შეფასების უწყისში შეაქვთ. წელიწადის ამ დროს,

უნივერსიტეტში, ყველაზე პოპულარული ნივთი კალკულატორია- სემესტრის განმავლობაში დაგროვილი ქულები ჯამდება

„ჩავაბარეეე“, „მთავარია გადავლახე“, „დამიწერა“, „უფასო გადაბარებაზე მიწევს გასვლა“, „წილი ნაყარია, ბარიერი გადალახულია“, „ ... რაც იქნება, იქნება...“ – ეს იმ სიტყვათა არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც უნივერსიტეტში ყველაზე ხშირად სწორედ წელიწადის ამ დროს გაიგონებთ. სტუდენტები ემოციებს ვერ მალავენ.

„რაც არ უნდა კარგად ვიყო მომზადებული, გამოცდას თავისებური მღელვარება მაინც ახლავს“, – ამბობს მესამეკურსელი ნათია, რომელიც საგამოცდო საკითხებს იმეორებს. ამბობს, რომ ერთი საკითხი არ აქვს მომზადებული: „გადაქსეროქსება დამავიწყდა. ჩემი ბედი რომ ვიცი, სწორედ ეს საკითხი შემხვდება. კონსპექტი დათოსგან ვითხოვე და სანამ ლექტორი მოვა, უნდა ვისწავლო“.

18 იანვარს საგამოცდო ცენტრში გამოცდები ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტებს ჩაუტარდათ. 70- კაციანი ჯგუფი სრულად გამოცხადდა, მხოლოდ რამდენიმე სტუდენტმა დააგვიანა.

გამოცდა ყოველგვარი სიზუსტის დაცვით დილის ათ საათზე დაიწყო. ტესტებს არიგებენ. სტუდენტებიც იღებენ, ათვალიერებენ და წერის იწყებენ. მღელვარე სახეები, კიდევ უფრო აღელვებული თვალები, გაფითრებული მზერა და გაყინული თითების მტვრევა... ეს გამოცდის დასაწყისია. მათ წინ მთელი ორი საათი აქვთ...

სტუდენტებმა ტესტი კიდევ ერთხელ დაათვალიერეს. როცა დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ დათვალიერება წერის დაწყებას არ ნიშნავდა, თავზეხელშემოწყობილები ტესტებზე ფიქრს შეუდგნენ. ინგლისურენოვანი ტესტი ისეთ ცოდნას მოითხოვდა, როგორიც გამოცდაზე გასულ მეორეკურსელს მოეთხოვება. გამოცდის მსვლელობას თვალყურს როგორც საგნის მასწავლებლები, ასევე ევროპეისტიკის დეპარტამენტის ხელძღვანელი, ქალბატონი მარინა გიორგაძე ადევნებდა.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში სრული სიმშვიდეა. მოკლედ, გამოცდის ჩაბარებისათვის იდეალური პირობებია. აქ არც ჩურჩულის ხმა ისმის, ვერც ერთმანეთისკენ მიმართულ მზერას შენიშნავთ და მობილურ ტელეფონებზე მოკლე ტექტური შეტყობინების საშუალებით გაცემულ პასუხზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეს გამოცდაა და როგორც წესი – გამოცდა გამოცდას უნდა ჰგავდეს.

დარბაზში გამეფებულ სიჩუმეს ისევ ფურცლის შრიალი თუ დაარღვევს. სტუდენტებს კითხვებიც აქვთ – ზოგმა ტესტში მოცემული სავარაუდო პასუხები ვერ გაიგო... მოკლედ, განმარტებაც მარტივად მიეცათ – „სწორი პასუხი აბსოლუტურად ყველა ტესტშია მოცემული“. ვარიანტების მრავალრიცხოვნებიდან გამომდინარე, სტუდენტებს რომც ძალიან მოენდომებინათ, ერთმანეთისაგან გადაწერა მაინც ვერ მოხერხდებოდა. ე.წ. „შპარგალკას ვინ შეგარჩენს“..., განსაკუთრებით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი ქალბატონი გულისა აქტიურობს, რომელიც სტუდენტებს ათვალიერებს. სტუდენტების მისამართით შენიშვნებს, მითითებებს და განმარტებებს არც გამოცდებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი, ბატონი ონისე სურმანიძე იშურებს.

გამოცდის დაწყებიდან ცოტა ხანში ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში უნივერსიტეტის რექტორი ალიოშა ბაკურიძე და რექტორის მოადგილე ირაკლი ბარამიძე შემობრძანდნენ. მათ გამოცდის მსვლელობას თვალი გადაავლეს და როცა დარწმუნდნენ რომ ყველაფერი რიგზე იყო, სტუდენტებს წარმატებები უსურვეს...

დილის ათი საათი და ოცდათხუთმეტი წუთია. მოკლედ, ზუსტად 35 წუთში გამოცდა პირველმა შორენა მარიხაშვილმა დაასრულა.

ოპერატორი, პაროლი, საგანი, ვარიანტი, სტუდენტი – ეს ის მონაცემებია, რომელიც ოპერატორმა ნინომ სრული სისწრაფით შეიყვანა კომპიუტერში. ამასობაში კი შორენას მღელვარება კიდევ უფრო მატულობს. მიმდინარე შეფასებაში სულ 22 ქულა აქვს. ამბობს, რომ გამოცდის ჩაბარების იმედი არ აქვს. 40 ქულიდან 19 ქულა დააგროვა. სულ 41 ქულა... ეს საკმარისი არ არის. განმეორებით გამოცდაზე მოუწევს გასვლა. „თქვენ გაგიმართლათ. ერთი ქულით გადაურჩით ჩაჭრას და ფასიან გადაბარებას“, – ეს დეპარტამენტის ხელმძღვანელის სიტყვებია, რომლითაც გოგონას მომავალი გამოცდის მომზადებისათვის მეტი სტიმული მიეცა. „სანამ ხელს მოაწერდეთ, გადახედეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მერე ნაშრომი აღარ გაპროტესტდება“, – ეუბნებიან შორენას. გოგონა ხელს აწერს, ბედს ნებდება, უკეთ მომზადებული მოვა და ინგლისურ ენაში გამოცდას ჩააბარებს.

ნერვიულობს თამუნა გორგილაძეც. მიაჩნია, რომ ასე ჩატარებული გამოცდები მეტად ობიექტურია, თუმცა ერთს ჩივის – ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ცივა. მიმდინარე შეფასებებში 27 ქულა აქვს. გამოცდაზე 19 ქულა მიიღო. გადაწყვეტილება კატეგორიულია – თებერვალში ჩააბარებს გამოცდას.

თითებს ნერვიულად იმტვრევს ნინო ირემაძეც. მიმდინარეში 54 ქულა აქვს, გამოცდაზე 33 ქულა მიიღო და შეფასების ფურცელში იცქირება. გოგონას მიაჩნია, რომ ცენტრის მიერ ჩატარებული გამოცდები მეტად ობიექტურია, პროცენტული მონაცემებიც კარგად ნაწილდება, მაგრამ ბევრ რამეს მაინც არ ეთანხმება.

გამოცდაზე მაქსიმალური ქულა 35 დაიწერა. მაღალი ქულა ნინო კუხალეიშვილმა მიიღო. ამბობს, რომ მიმდინარეში 59 აქვს. „ასეთი სისტემა მომწონს, უბრალოდ ზოგიერთ ტესტში ხარვეზი იყო გაპარული, მაგრამ არაუშავს. წინა გამოცდაზე ამის გამო რამდენიმე ქულა მოგვიმატეს კიდეც“.

მრავალრიცხოვან ჯგუფში ერთადერთი ვაჟი მერაბ კოსტავა გახლდათ. „გადავყევი ახალი წლის დღეებში ლოთობას და გამოცდის ჩაბარების იმედი ნამდვილად არ მაქვს. ვნახოთ რა იქნება. მაღალი ქულა არც მიმდინარე შეფასებებში მაქვს. ჯამში 32 გამომივიდა“. მერაბმა 20 ქულა მიიღო. „დიდი მადლობა, თქვენ გაიხარეთ, მრავალ ახალ წელს და ნათლისღებას დაესწარით“. მან შეფასების ფურცელს ხელი ავტომატურად მოაწერა და გამოცდა დატოვა.

გამოცდაზე ყველაზე გვიან ირინა ზოიძე გამოცხადდა და შესაბამისად, წერაც ბოლოს დაასრულა. ამბობს, რომ შვილი ავად ყავდა. გოგონამ საკმარისი ქულა ვერ დააგროვა. წინ მასაც თებერვლის გამოცდა ელოდება...

საინტერესო ამბავია მოსაცდელ დარბაზშიც. აქ სტუდენტები ერთმანეთს გამოცდის ჩაბარებას ულოცავენ, ეხვევიან, ეფერებიან და ოჯახში ეპატიჟებიან. ისინი, ვინც თებერვალში ხელმეორედ უნდა გამოცხადდნენ გამოცდაზე, დამუშავებულ საკითხებს იმათგან ითხოვენ, რომლებმაც დადებითი შეფასებები მიიღეს. აი, ჩაჭრილებისა კი რა მოგახსენოთ... მათ წინ კურსის გავლა ელოდებათ. მოკლედ, მომავალი მათია...

ინგლისური ენის გამოცდაზე ყველაზე დაბალი 9 ქულა დაიწერა.

საერთო ჯამში, სტუდენტებს გამოცდების ტესტური სისტემა მოსწონთ.

რამდენიმე კითხვით გამოცდებისა და შეფასების ცენტრის დირექტორს ბატონ ონისე სურმანიძეს მივმართეთ:

– ბატონო ონისე, უკვე მესამე წელია, რაც გამოცდების ამგვარი სისტემა დაინერგა. თქვენი შეფასება...

– ჩვენ ვთვლით, რომ გამოცდების ტესტურმა ფორმამ, რომლის ინიციატორიც უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ალიოშა ბაკურიძე გახლავთ, გაამართლა.

– რამდენად ობიექტურია საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდები?

შეფასების ცენტრში ჩატარებული გამოცდები გამოირჩევა აბსოლუტური ობიექტურობით იმდენად, რამდენადაც სტუდენტს აქვს ყველა პირობა იმისა, რომ იმუშაოს ტესტზე, გამოავლინოს ცოდნა, ტესტში გაპარული შემთხვევითი შეცდომები სწორდება მაშინვე. კომპიუტერთან მისული სტუდენტი რწმუნდება, რომ მის მიერ გამოვლენილი ცოდნა არ იკარგება. პირიქით, ხშირ შემთხვევაში ზედამხედველები და ოპერატორები სტუდენტის სასარგებლოდ მუშაობენ.

აქვე დავსძენდი იმასაც, რომ მაშინ როცა გამოცდების ამგვარი ჩატარების მეთოდი ახლად დაინერგა, მეტი განაცხადი შემოდიოდა, წელს კი შედარებით იკლო. ჩვენი აზრით, ეს სწორედ ობიექტურობით არის გამოწვეული.

– საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდისადმი სტუდენტი უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს?

– ცხადია, რადგან იგი ხედავს, რომ გამოცდის მიმდინარეობისას გამორიცხულია ყოველგვარი შეღავათი, ეს იქნება ე.წ. „შპარგალკის“ გამოყენება, მითითება, კარნახი თუ სხვა.

– მიმდინარე სემესტრის გამოცდებს თან რაიმე სიახლეებიც ხომ არ ახლავს?

– მიმდინარე სემესტრის გამოცდებზე განსაკუთრებული სიახლე არ არის, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ცენტრში წარმოდგენილი ყველა ტესტის პასუხები ერთმანეთში ავურიეთ, რითაც გამორიცხა ტესტების პასუხების წინასწარი ცოდნის სახით მისი გამოყენება.

– სულ რამდენ გამოცდას აბარებს შეფასებისა და გამოცდების ცენტრში სტუდენტი?

– ეს წინასწარ დაგეგმილი არ არის. გააჩნია საგანს და მიმართულებას. თუ შესაძლებელია გამოცდის ტესტურად ჩატარება და დეპარტამენტი გადაწყვეტს, რომ ესა თუ ის გამოცდა ჩატარდეს შეფასების ცენტრში, ჩვენ ვაგროვებთ წინასწარ განაცხადებს და დგება საგამოცდო გრაფიკი.

მაგალითისთვის ვიტყოდი, რომ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტისა და ჯანდაცვის სპეციალობის სტუდენტები შეფასების ცენტრში სამ ან ოთხ გამოცდას აბარებენ, მაგრამ მათემატიკოსები ჯერჯერობით არც ერთს.

– საგამოცდო ცენტრში გამოცდები სწავლების ყველა საფეხურზე ტარდება?

– ჯერჯერობით მხოლოდ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში. ვფიქრობთ და ველოდებით, რომ გამოცდები ამგვარი ფორმით სამომავლოდ დოქტორანტებსაც ჩაუტარდებათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ განმეორებითი გამოცდები 16 თებერვალს უნდა დასრულებულიყო, თუმცა ზემო აჭარაში შექმნილი უამინდობის გამო, 26 თებერვლამდე გადაიდო.

,,მივეჩვიეთ გუნდურ მუშაობას''

სამართალმცოდნეობის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტებს სამართლებრივი საკანონმდებლო ტექნიკის გამოცდა ჩაუტარდათ. სალექციო კურსი სრულ პროფესორ მურმან გორგოშაძეს მიჰყავდა, ხოლო პრაქტიკულ მეცადინეობებს სტუდენტებს ასისტენტ პროფესორი ზურა კვირკვაია უტარებდა. სწორედ მათივე რჩევით და მითითებით სემესტრის დასაწყისშივე სტუდენტები ჯგუფებად დაიყვნენ, კონკრეტული თემა აირჩიეს და საკანონმდებლო ტექნიკის წესების გათვალისწინებით კანონპროექტზე მუშაობა დაიწყეს. დავალებისამებრ, კანონპროექტში უნდა ასახულიყო ყველა ის საკითხი, რასაც სტუდენტები სემესტრის განმავლობაში ისწავლიდნენ. კურსი ოთხ ჯგუფად დაიყო.

პირველი ჯგუფის პრეზენტაციის თემა საქართველოს კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ გახლდათ. კანონპროექტის ინიციატორები და ავტორები რუსუდან აბუსელიძე, მადონა პეტრიძე, ლიანა ღლონტი, ნინო ღოღობერიძე და თეონა ღოღობერიძე იყვნენ. „რამდენიმე წლის წინ საქართველოში ვერც კი წარმოიდგენდნენ ელექტრონული ვაჭრობა ასე თუ გავრცელდებოდა. შესაბამისად, მაშინ არც იყო საჭირო ამ საკითხის სამართლებრივი დარეგულირება, მაგრამ ახლა სხვა მდგომარეობაა. ტექნოლოგიური პროცესების განვითარების კვალდაკვალ ელექტრონული ვაჭრობის როლიც გაიზარდა, საკანონმდებლო ბაზა კი სამწუხაროდ, ჯერ არ არის სრულყოფილი საამისოდ. ელექტრონული ვაჭრობის განვითარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთიანი საკანონმდებლო სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისად ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული ხელმოწერის საკითხების საკანონმდებლო წესით რეგლამენტაცია“, — ეს ამონარიდია პრეზენტატორის სიტყვებიდან. თამარ ზოიძემ, ნინო ბერიძემ, მაია ტაკიძემ, ირმა მაისურაძემ, ნინო დიასამიძემ ილია ნიჟარაძემ და გიორგი დავითაძემ საქართველოს კანონის პროექტზე „სქესის შეცვლის შესახებ“ იმუშავეს. „თანამედროვე პირობებში მკვეთრად შეინიშნება იმ პირთა მატება, რომელთაც სურთ სქესის შეცვლა. ეს არის სოციალური რეალობა. დღესდღეობით საქართველოში არის ოფიციალურად სქესშეცვლილი 4 ადამიანი, თუმცა მსურველ პირთა რიცხვი ძალიან დიდია. სამწუხაროდ, განსაკუთრებით ეს საკითხი დგას ბავშვებში. ამ მხრივ მსოფლიოში სავალალო სტატისტიკაა“, — ეს იმ მიზეზის მცირედი ნაწილია, რამაც სტუდენტთა ჯგუფს სწორედ ამ საკითხის დამუშავებისკენ უბიძგა.

ყურადსაღებია საქართველოს კანონის პროექტი „ტრადიციული ქართული სამოსის სახელმწიფო სიმბოლოდ აღიარებისა

და პოპულარიზაციის შესახებ“. სწორეს იყო მესამე ჯგუფის პრეზენტაციის თემა. კანონპროექტის ინიციატორები და ავტორები მარიამ ოქროპირიძე, შორენა მესხიძე, სალომე ნოდია, მაგდა ცეცხლაძე, გიული ჯოყილაძე, ია ხვიჩია და ივლიტა მაკარაძე გახლდნენ. მათივე თქმით, კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს ქართული ეროვნული სამოსის ტარების ტრადიციის დამკვიდრება, რაც გაუღრმავებს ქართველ ხალხს ერთიანი სულსა და პატრიოტიზმს, ეს კი ქვეყნის სიძლიერის მანიშნებელი გახდება.მოეთხე ჯგუფის საპრეზენტაციო თემა, რომელიც მხოლოდ ვაჟებისგან იყო დაკომპლექტებული, საქართველოს კანონი „მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაციის შესახებ“ გახლდათ. სულხან ფალავანდიშვილმა, დათო მესხიძემ, გიორგი ირემაძემ, ჯემალ კახაძემ, ირაკლი მიქელაძემ და ზურაბ მესხიძემ დამსწრე საზოგადოებას არსებული რეალობა აჩვენეს. ეს კანონი აწესრიგებს მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაციის წესს, მოხმარების პირობებს, მომხმარებელთა უფლებებსა და მოვალეობებს, სახელმწიფოს ზედამხედველობისა და ლეგალიზაციასთან დაკავშირებულ სხვა სამართალურთიერთობის საკანონმდებლო საფუძვლებს. გამოცდა მსჯელობა-დისკუსიის ფორმატით წარიმართა. თითოეული პრეზენტატორის გამოსვლის შემდეგ, საჯაროდ თემის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე ისაუბრეს, საჯარო იყო შეფასების პრინციპიც, რაც სტუდენტებისვე თქმით, გამოცდას ობიექტურობას მატებდა.“ვფიქრობ, კანონპროექტზე ასეთი მუშაობა და შემდეგ გამოცდის ამგვარად ჩატარება, უფრო ეფექტურ შედეგს იძლევა. მივეჩვიეთ გუნდურ მუშაობას და მტკიცების, დებატების მეტი პრაქტიკა შევიმუშავეთ“, — საუბრობს გამოცდის შემდეგ სულხან ფალავანდიშვილი. მარიამ ოქროპირიძე ამბობს, რომ მის გაკეთებული პრეზენტაციით მეტ-ნაკლებად კმაყოფილია, თუმცა იმასაც დასძენს, რომ საკუთარი თავისა და გუნდის ბევრად უკეთ წარმოჩენა შეეძლო: „გამოცდისთვის დავალებად საკუთარი კანონპროექტის შედგენა მოგვეცა. თემაზე დამოუკიდებლად ვიმუშავეთ. გამეხარდა, რომ ჩვენს მიერ არჩეული თემა აუდიტორიისთვის საინტერესო აღმოჩნდა“. კანონპროექტის პრეზენტაცია, რომელიც 20 ქულით ფასდებოდა, ფინალური გამოცდის მხოლოდ ერთი კომპონენტი იყო. მიღებული ქულა კანონპროექტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრს უნდა დაეწერა. სტუდენტებმა ასევე ორმოცკითხვიანი ტესტური გამოცდა ჩააბარეს, სადაც მაქსიმალური შეფასება ასევე 20 ქულა იყო.

საინტერესო რეცენზია



ქ. თბილისში, გამომცემლობა „ინოვაციის“ მიერ გამოიცა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტის გივი აბაშიძის წიგნები „პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი“ (გამოძიების სტადიაზე) და „დამცველი სისხლის სამართლის პროცესში“ (წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე), რითაც ავტორმა კიდევ ორი საინტერესო და კარგ მეცნიერულ დონეზე დამუშავებული წიგნი შემატა როგორც სისხლის საპროცესო სამართლის აქტუალურ საკითხებზე მის მიერ ადრე გამოცემულ სხვა წიგნებს და ათეულობით სამეცნიერო ნაშრომებს, ასევე საერთოდ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურას ნაშრომები ეხება სისხლის საპროცესო სამართლის თეორიის მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, რამაც გამოიწვია ამ საკითხებისადმი ავტორის სამეცნიერო დაინტერესება. წიგნში „პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი“ (გამოძიების სტადიაზე) განხილული და ჩამოყალიბებულია სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში, პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება გამოძიების სტადიაზე. ავტორის მიერ დეტალურად არის წარმოდგენილი და მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივი ინსტიტუტის კონცეპტუალური საფუძვლები გამოძიების სტადიაზე, დისკრეციული დევნის პრინციპები, პროკურორის როლი სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელებაში, სისხლისსამართლებრივი დევნა გამოძიების სტადიაზე — საკმაოდ აქტუალური და საპრობლემო საკითხია სისხლის სამართლის პროცესში. მით უმეტეს ახლა, როცა 2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ ახალმა ნორმატიულმა აქტმა ბევრი საკანონმდებლო ნოვაცია შემოიტანა და მათ შორის, ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს დისკრეციის პრინციპის დაკანონება თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. ამავე კოდექსით, სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპები ახლებურადაა მოწესრიგებული, მისი დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

ავტორს სწორედ ამ კუთხით აქვს განხილული და გაანალიზებული სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხები და მისი უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვით პროკურატურის ორგანოებმა სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად უნდა შეასრულოს სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის. წიგნში განხილულია ისეთი საკითხები, რაც იურიდიულ ლიტერატურაში, მეცნიერ-იურისტებს შორის საკმაოდ საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს საკითხი იმის შესახებ, ითვლება თუ არა სისხლისსამართლებრივ დევნად პროკურორის საქმიანობა, რომელსაც ის ახორციელებს საქმეში ბრალდებულის გამოჩენამდე; იმ პირის მიმართ გატარებული სამედიცინო ხასიათის მოქმედებები, რომელიც დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო, არის თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა; სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებათა ერთობლიობაში, რომელიც მიმართული იყო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისაკენ, მოიაზრება თუ არა აღკვეთის ღონისძიებები; რომელი საპროცესო მოქმედებები ატარებდა სისხლისსამართლებრივი დევნის ხასიათს გამოძიების სტადიაზე; სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის არსის პრობლემის და წინასწარი გამოძიების შესაბამისობის; გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გამიჯვნის; ტერმინების ბრალდების ფუნქციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის გაიგივების შესახებ და სხვა.

წიგნი „დამცველი სისხლის სამართლის პროცესში“ (წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე), ეხება ასევე სისხლის სამართლის პროცესის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. მასში განხილულია წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიაზე დამცველის მონაწილეობის თეორიული და სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, დამცველის ცნება და არსი, დაცვის ცნება, დამცველის საპროცესო მდგომარეობა, ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი, ადვოკატის საქმიანობის პროფესიული ეთიკის საკითხები.. ავტორის მიერ, სათანადო ლიტერატურის გამოყენებით, რაც ნაშრომში საკმაოდ უხვად და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, დეტალურად არის განხილული წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიაზე დამცველის მონაწილეობის ყველა მნიშვნელოვანი და პრაქტიკულად გამოსაყენებელი სამართლებრივი საკითხები.

ორივე ნაშრომში ავტორს იურიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართლის სპეციალისტების მიერ საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმულ სადაო საკითხების გარშემო ჩამოყალიბებული აქვს თავისი მოსაზრებები და სათანადო მეცნიერული დასაბუთების საფუძველზე გადმოცემული აქვს დასკვნები ამ საკითხებთან დაკავშირებით.წიგნები განკუთვნილია სამართალდამცავ სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი მუშაკების, ლექტორების, სამეცნიერო სფეროში მომუშავე პირების და სტუდენტებისათვის. ის დახმარებას გაუწევს აგრეთვე აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკითხველს. ამჟამად, გივი აბაშიძე მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე სისხლის საპროცესო სამართლის მეტად რთულ და საინტერესო საკითხზე „პროკურორი გამოძიების სტადიაზე“(თანამედროვე რეალობა).



ნუგზარ გაბრიჩიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სრული პროფესორი

მიხეილ მამნიაშვილი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს "ეტალონი რეგიონული სახელმწიფო უნივერსიტეტის" ტიტული მიენიჭა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მედია-პროექტ „ეტალონში" მიიღეს მონაწილეობა. პირველობა განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტმა კახაბერ ქამადაძემ მოიპოვა, მეორე ადგილზე სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის III კურსის სტუდენტი ჯაბა ლომაძე გავიდა, მესამე ადგილზე — განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი მარიამ ბოლქვაძე. ეროვნულმა მედია-პროექტმა „ეტალონმა" შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს აჭარის რეგიონში საგანმანათლებლო ინოვაციებისა და სწორი მენეჯმენტისათვის 2010 წლის „ეტალონი რეგიონული სახელმწიფო უნივერსიტეტის" ტიტული მიანიჭა.

წარმატებული მეცნიერი

ანნა ფირცხალაშვილი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, რომელმაც მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხი გერმანიაში — ჰუმბოლდტისა და პოტსდამის უნივერსიტეტებში წარმატებით მოიპოვა. ორი შვილის დედა გერმანულენოვანი მონოგრაფიის ავტორია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იგი პირველია ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაში, რომელმაც სადოქტორო დისერტაცია გერმანიაში დაიცვა და პირველია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტისათვის, რომელმაც გერმანულ ენაზე სამეცნიერო ნაშრომი გამოსცა. ქალბატონი ანნა მომდევნო სემესტრიდან ჩვენი უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის მაგისტრანტებს ევროპის სამართალს წაუკითხავს.

— ქალბატონო ანნა, პირველ რიგში გილოცავთ დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვებას და შემდგომ სამეცნიერო წარმატებებს გისურვებთ. საინტერესოა, როგორ გაიხსენებდით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდს?

—1993-1998 წლებში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, რომელიც წარჩინებით დავამთავრე. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ საქართველოში ძალიან რთული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა იყო, მოგონებები ბათუმური სტუდენტური ცხოვრებიდან ყოველთვის სასიამოვნოა ჩემთვის. სწორედ უნივერსიტეტში სწავლისას წარმოიშვა ინტერესი ჩემში, რომ უფრო ღრმად ჩავწვდომოდი ადამიანის უფლება-თავისუფლებათა ფილოსოფიას, თეორიულ საწყისს და მის პრაქტიკულ გამოყენებას სამართლის სხვადასხვა დარგებში. ბატონ ზაზა რუხაძესთან ჩემი საკურსო ნაშრომის შემდეგ, საბოლოოდ გადავწვიტე, რომ უფრო სერიოზული სამეცნიერო საქმიანობა მსურდა.

— მაგისტრატურა სად დაამთავრეთ?

— 1999 წელს გერმანიაში გავემგზავრე. დაახლოებით ერთი წელი გერმანული ენის საუნივერსიტეტო დონეზე შესწავლას მოვანდომე. 2000-2002 წლებში ბერლინში, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი მაგისტრატურაში. სამაგისტრო თემა დავიცავი თემაზე „ადამიანის თავისუფლებები საქართველოსა და გერმანიის კონსტიტუციებში". 2002 წლის ივლისში მოვიპოვე სამართლის მაგისტრის ხარისხი (LL.M).

— როგორია იქაური სტუდენტური ცხოვრება?

— სრულიად განსხვავებულია. იქ უმრავლესობა მუშაობს და ცდილობს თავისი შრომით იცხოვროს. ამიტომაც მათ ქართველი სტუდენტებისაგან განსხვავებით, დამოუკიდებლად ცხოვრების მეტი საშუალება აქვთ.

— სწავლის პარალელურად სადმე მუშაობდით?

— გერმანიაში სწავლის პერიოდში რამდენიმე სტაჟირება გავიარე. მათ შორის ჩემთვის ყველაზე საინტერესო გერმანიის ბუნდესტაგში (პარლამენტში) და ადამიაინის უფლებათა ცენტრში სტაჟირება იყო. საქართველოში დაბრუნებამდე კი, ბოლო რამდენიმე თვე, ბერლინის ადვოკატთა საზოგადოებაში ვმუშაობდი.

— როგორი ურთიერთობა გქონდათ იქაურ პროფესურასთან?

— დამოკიდებულება გერმანელ პროფესორსა და სტუდენტს შორის ძალიან უშუალოა. იქ არა მხოლოდ ლექტორებს, არამედ სხვა პერსონალსაც ძალიან თბილი დამოკიდებულება აქვთ უცხოელი სტუდენტებისადმი. ჩვენთვის იმართებოდა განსაკუთრებული სემინარები, გვიწყობდნენ ექსკურსიებს. ზოგადად უცხოელი სტუდენტებისათვის არსებობდა მრავალი საინტერესო პროგრამა.

— რა თემაზე დაიცავით სადოქტორო დისერტაცია, ვინ იყო თქვენი თემის ხელმძღვანელი და როგორ გაიხსენებდით თემაზე მუშაობის პერიოდს?

— გერმანიაში დისერტაციის წერისას დოქტორანტი სრულიად თავისუფალია. მისთვის არ არსებობს უნივერსიტეტის მიერ გაწერილი საათებულო ვადა. ამას იგი თვითონ გეგმავს. წელიწადში ერთხელ იმართება სემინარი, სადაც დოქტორანტი ხვდება თემის ხელმძღვანელს და სხვა დოქტორანტებს. თითოეულის სადისერტაციო თემის შესახებ დისკუსიები იმართებოდა. ჩემი თემის ხელმძღვანელი პროფესორი ექჰარდ ქლაინი იყო, რომელიც გაეროს ადამინის უფლებათა კომიტეტის წევრი და რამდენჯერმე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში (ად ჰოკ) მოსამართლე გახლდათ. ძალიან მიხარია და ვამაყობ იმით, რომ მასთან მუშაობის საშუალება მომეცა. მიუხედავად იმისა, რომ ის გერმანიაში ერთ-ერთი განთქმული ადამიანია, სტუდენტებთან მას უშუალო, თბილი და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. მისი მეუღლე ხშირად ამზადებდა ვახშამს და საღამოობით დოქტორანტებს მასთან სტუმრად გვეპატიჟებოდა. იქ იმართებოდა ძალზედ საინტერესო დისკუსიები, განსაკუთრებით — საერთაშორისო საკითხებზე. ამიტომ ხშირად მეძლეოდა საშუალება გამეცნო სხვებისათვის საქართველოში არსებული პრობლემები, სხვა თვალით მეჩვენებინა ჩემი მეგობრებისათვის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ნამდვილი სურათი.



— თქვენ გერმანულენოვანი წიგნის ავტორი ხართ. ეს თქვენი სპეციალობის აქაური პროფესურისთვის ორმაგად საამაყოა. რას ეხება თქვენ მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფია?

— 2009 წლის იანვარში მომენიჭა პოტსდამის უნივერსიტეტის სამართლის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ჩემი სადისერტაციო თემაა „სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება და ადამინის უფლებათა ჰორიზონტალური ქმედება საქართველოს კონსტიტუციაში". გერმანიაში დოქტორანტი ვალდებულია, რომ სადისერტაციო ნაშრომი წიგნად გამოსცეს. ჩემი მონოგრაფია წარმოადგენს ჩემივე დისერტაციის განახლებულ და რედაქტირებულ ფორმას.

— თქვენ ორი შვილის დედა ბრძანდებით. არ იყო რთული ოჯახისა და სწავლა-განათლების ერთმანეთზე მორგება?

— დიახ, ჩემი ორივე შვილი ბერლინში დაიბადა. რა თქმა უნდა, რთულია ოჯახი და სწავლა ან მეცნიერული მუშაობა ერთად. მეუღლის დახმარების გარეშე ჩემთვის ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა. მის დამსახურებას ყოველთვის განსაკუთრებით აღვნიშნავ. საქართველოში გასული წლის მაისში დავბრუნდი. გერმანიში სულ თერთმეტი წელი ვცხობრობდი.

— ამჟამად სად მოღვაწეობთ?

— ამჟამად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტში მრჩევლად ვმუშაობ. მომავალი სემესტრიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართამცოდნეობის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის მაგისტრანტებისათვის ევროპის სამართალს წავიკითხავ.

— თქვენი სამომავლო გეგმები და პერსპექტივები...

— მიხარია რომ ბათუმში დავბრუნდი. ჩემს მომავალს მხოლოდ საქართველოში ვხედავ. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას ქართველ სტუდენტებს გავუზიარებ.

მთის სიყვარულით ნაამბობი

დიდმა ნიკო კეცხოველმა შესანიშნავი ტრადიცია დაამკვიდრა. ბატონი ნიკო იყო მცენარეთა სამყაროს, თითქოსდა, უტყვი, მაგრამ ამავდროულად, ფერთა სილამაზის, სურნელებათა, სულიერი და ხორციელი სიმდიდრის ძირითადი წყაროს ქომაგი და უზადო მესაიდუმლე. მან თავის მეცნიერულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებში: „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარიან", „მეცხრე მთაც გადავიარეთ", „მორბის არაგვი არაგვიანი" და სხვა, თითქოსდა, ღვთაებრივ ენაზე აალაპარაკა საქართველოს ბუნება. მის წიგნებშიოსტატურად არის შეკაზმულ-შეზავებული უზადო მეცნიერული ნიჭი, ბუნების მხატვრული ხედვისა და გადმოცემის საოცარი ტალანტი. საკუთარი ქვეყნისა და მისი, მართლაც, ულამაზესი ბუნებისადმი თავდავიწყებული სიყვარულისა და იმ ტკივილების წინასწარი განცდაც, რაც ამ საოცარ ბუნებას ადამიანის ხელით შეიძლება დაემუქროს.

ამიტომაც, სულაც არ გვეჩვენება უჩვეულოდ ბატონი ნიკოს გადაწყვეტილება, ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ბოტანიკის სიყვარულით აღტყინებული, სრულიად უმწიფარი მეცნიერის — მურმან დავითაძის გაგზავნა მიზნობრივ ასპირანტურაში მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრაზე, თანაც, ბოტანიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული დარგის — მცენარეთა მორფოგენეზის მიმართულებით კვალიფიციური კადრის მოსამზადებლად. ბატონმა ნიკომ თავისი საოცარი ინტუიციით იგრძნო ახალგაზრდა კაცის სწრაფვა იმ გზისადმი, რომელიც თვით ბატონი ნიკოს სტიქია იყო და ყველაზე მეტად აინტერესებდა.

დიდი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ეს წინასწარი ხედვაც საფუძვლიანი აღმოჩნდა. ამჟამად უკვე ღვაწლმოსილმა მეცნიერ-ბოტანიკოსმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულმა პროფესორ-ემერიტუსმა, მურმან დავითაძემ სულ რამდენიმე წლის წინ გამოაქვეყნა საკმაოდ სქელტანიანი წიგნი „ყვავილი თოვლში". წიგნმა დიდი მოწონება და აღიარება პოვა. დაიწერა კიდეც სათანადო რეცენზიები. სულ ახლახან კი გამოვიდა მისი მეორე, ასევე მოზრდილი მეცნიერულ-პუბლიცისტური წიგნი „მთის ძახილი". ორივე წიგნი იმ მთავარ პრობლემებს ეძღვნება, რომელთა გადაჭრაზეც ზრუნვა თავის დროზე ბატონმა ნიკომ დაიწყო. საკითხი ეხება ცოცხალი ბუნების, განსაკუთრებით კი მცენარეთა სამყაროს საიდუმლოებათა წარმოჩენას, მცენარის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის დაფარული „გრძნობების" წაკითხვასა და მის მხატვრულ-პუბლიცისტურ გაშიშვლებას, ყველა ჯურის მკითხველისათვის გასაგებ ენაზე გადმოთარგმნას და, ამასთანავე, ბუნების ამ საოცარი ქმნილების მშვენიერებასა და მნიშვნელობასთან ერთად იმ ტკივილების მეცნიერულ- პუბლიცისტურ გამომზეურებას, რაც ცოცხალ ბუნებას ადამიანი თავისი ხელით, ზოგჯერ უგუნური მოქმედებით აყენებს ხოლმე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წიგნის — „მთის ძახილი" — ავტორს ასაკისა და გამოცდილების კვალდაკვალ აშკარად ეტყობა, როგორც მეცნიერული სიმწიფე, ასევე მოვლენების მხატვრული ფორმით აღწერა-გადმოცემის ოსტატობაც. წიგნს წითელ ზოლად გასდევს ავტორის გულიანი სიყვარული თავისი მშობლიური კუთხის — აჭარის მთის ბუნებისადმი. იგი ცდილობს, ისე აღწეროს აქაური ბუნება, ადამიანთა საქმიანობა, წინაპართაგან მომდინარე ტრადიციები, რომ ყოველივე მკითხველის გრძნობების საზრდოდ გადააქციოს, შეაყვაროს და შეასისხლხორცოს იგი მთის მკაცრ, მაგრამ საოცრად წარმტაც სამყაროსთან. ავტორი სიამაყით წერს, რომ „აქ ფართოდ არის განვითარებული ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის ბუნებრივი მშვენებით გამორჩეული ეკოსისტემები", „შუა საუკუნეების ოქროპილაურის ციხე დარაჯად უდგას ხეობას. იცავდა ქართულ სიწმინდეებს გადამთიელი მომხდურებისაგან, უცხოური შემოჭრისაგან. ალბათ ამიტომ, ამ ხეობაში წინაპართა ადათ-ჩვევები და ტრადიციები გამორჩეულადაა შემონახული."

ავტორს ახარებს ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა აჭარის მთაში: „ხეობის სოფლები თანდათან უბრუნდება მამა-პაპური ადათ-წესებით ტყის, მდელოსა და ნიადაგის სარგებლობას. მთიელმა კაცმა ყველაზე უფრო კარგად იცის ბუნების ყადრი. იცის, რომ ტყე მისი არა მარტო მარჩენალი, მფარველიცაა, ამიტომაც უფრთხილდებოდა და უფრთხილდება მას, სარგებლობს, იცავს და უვლის, ბატონ-პატრონობს და მოიხმარს კიდეც." მთის სოფელს ბევრი პრობლემა აქვს. მისი მკაცრი ბუნება, მცირემიწიანობა, მცირემოსავლიანობა გლეხის განსაკუთრებულ შემართებასა და გულმოდგინებას მოითხოვს. ავტორი წერს: „დღეს ბეწვის ხიდზე გავლა უწევს ქართულ სოფელს. ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა ვიფიქროთ, ვიკითხოთ, ვეძიოთ.... ერთმანეთის გვწამდეს, გვჯეროდეს."

წიგნის ავტორი მწარედ განიცდის ყველაფერ იმას, რა ტკივილიც დაუტოვა საბჭოთა პერიოდმა ზოგადად სოფელს და განსაკუთრებით მთას. „50-იანი წლებიდან მოყოლებული, — იხსენებს ავტორი, — ჩვენი მრავალფეროვანი ბუნება თანდათან გამარტივდა, ზოგან ისე გაღარიბდა, რომ დაკარგა სილამაზე, სიდიადე და სიმდიდრე. ამის საწყისად სოფლად ძალადობის გამეფება — კოლექტივიზაციის „იდეური განმტკიცება" ითვლება. ასეთ იდეებს გზას უკაფავდა მებაღე-ექსპერიმენტატორთა „გონიერი ნააზრევი" — ჩვენ ვერ დაველოდებით მოწყალებას ბუნებისაგან, ჩვენი ამოცანაა, წავართვათ იგი მას." სკოლაში „ანტიბიოლოგია" ისწავლებოდა. ზოგს მოსწონს კიდეც იმდროინდელი ფილმები, რომლებშიც მძლავრი ტექნიკით „ვძირკვავდით ტყეებს, ვაფეთქებდით ფერდობებს, ყველგან ვაშრობდით ჭაობებს, ვასამარებდით ტყეებსა და წყაროებს, ვანადგურებდით ველებსა და ა. შ." ავტორი მწარედ განიცდის იმას, რომ პრაქტიკოსი მებაღის, ივ. მიჩურინის ზემოთ მოტანილი თეზისი საფუძვლად დაედო მთელ თეორიულ ბიოლოგიას და ათწლეულების მანძილზე საერთოდ გაიყინა ჩვენთან ბიოლოგიური მეცნიერება. მსგავსი იდეოლოგიით ყველაფერი გამოვქაჩეთ, რაც შეგვეძლო და სერიოზულად დავაავადეთ ჩვენი ბუნება. ბოლოს ავტორი დაასკვნის, რომ შესაბამისი პერიოდის შედეგებმა ჩვენებურ კაცს „თვალი აუხილა და აღიარებინა, რომ გარედან თავს მოხვეულმა მეურნეობის წესმა მოსპო ტრადიციული სოფლის მეურნეობა, განადგურების პირას მიიყვანა საარსებო გარემო და ბუნებრივი რესურსები." "გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში საძოვრების მოვლა-პატრონობის შესუსტებამ, არაგონივრულმა გამოყენებამ და მათი ექსპლუატაციის ძველი ადათ-წესების უგულებელყოფამ სუბალპური მდელოები იმდენად გადააგვარა-გააღარიბა, რომ თითქმის დააკარგვინა მისი ბუნებრივ-ლანდშაფტური ფუნქცია. ქვეყნის დამოუკიდებლობამ ბევრ სიკეთესთან ერთად, თავს მოხვეული უცხო მეურნეობრივი საქმიანობა უკუაგდო და მამა-პაპურ ადათ-წესებს დაგვაბრუნა, პირველი შედეგიც სახეზეა".

წიგნის თითქმის ყველა გვერდზე შეხვდებით

დასასრული გვ - 7

მთის სიყვარულით ნაამბობი

დასაწყისი 6-გვ

სადად, არაჩვეულებრივად მიმზიდველად და აშკარად მკითხველის გრძნობებთან მოთამაშე სიტყვებით გადმოცემულ მთის მრავალფეროვანი ბუნების ცალკეული ფრაგმენტის აღწერას. ავტორი მოხერხებულად აცოცხლებს მკითხველის წინაშე მთისა და ბარის, წლის ყველა სეზონის წარმტაც პეიზაჟებს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით იგრძნობა მხატვრული თვალსაზრისით საკმაოდ ღირებულ ჩანახატებში: „მშვენიერების ტყვეობაში ღამით“, ლურჯთვალა ია და მუხა“ და სხვა. აი, ზოგი მათგანიც: „აჭარისწყლის ხეობა.... მთის ფერდობებზე შეფენილი სოფლები ზემოდან გადმოჰყურებენ მდინარე აჭარისწყალს. შემოდგომის ფერებით მორთულ-მოკაზმული მთები გარინდებულნი უსმენენ მდინარეებს. ბუნების ამ ზღაპრულ სიმდიდრეს დროდადრო არღვევს შემოდგომის ქარი..... ფოთლები ცვივა, ხეები თანდათან იძარცვებიან და შიშვლდებიან“..... „გაზაფხულდა, ფერდობებზე თოვლი ჩამოშრა. ჩრდილოეთის ექსპოზიციის დაჩრდილულ ადგილებზე თოვლის საფარი აჭრელებულია. იას, ფურისულას (ბაბილოს), ხარისძირას და ყოჩივარდას უკვე მოუქარგავს ამწვანებული სათიბი მდელოების ტყისპირები“..... „გაიარეს კლდოვანი, ციცაბო ფერდობებიანი უბანი — მუხნარები, წიფლნარები და მუხნარ-რცხილნარებს მიუახლოვდნენ. აქ უფრო მომძლავრებულია გაზაფხული. ბალახოვნებთან ერთად ტირიფი (ციცალა) აყვავებულა. თხილს და მურყანს საყურეები (მჭადა ყვავილედები) დაცვენია. ნამდვილი გაზაფხულის სურნელი ტრიალებს“..... „სულ სხვაა გაზაფხული მთაში, სახლის სახურავიდან ჩქარი წკაპუნით, შურდულივით ეშვება თოვლის გამდნარი წყლის წვეთი, ირგვლივ გამდნარი თოვლის წყლის ნაკადულთა რაკრაკი ისმის. ეზოში გამომზეურებული ბოჩოლები, თიკნები და ბატკნები კუნტრუშით ნაირგვარი ტონალობით „მღერიან“ გამთბარ გარემოში“..... „ზაფხულის ყვავილოვან (ეფემეროიდ და ეფემერ) მცენარეებს ყვავილი არ შერჩენიათ. მწვანედ ხასხასებს მათი ფოთლები, ისინი ტყის სრული შეფოთვლის შემდეგ შესვენებას მისცემიან. შემდგომი აღმოცენება-განახლებისათვის კვირტებს ტუბერებზე, ფესურებსა და ბოლქვებში შემოინახავენ. ზაფხულს მიწისქვეშ გაატარებენ და შემოდგომით კვლავ გამოჩნდებიან ხასხასა ფოთლებით“..... „წვიმს, თოვლის ფანტელები ატანს. თოვლჭყაპია, ძლიერი ქარიშხლით“..... „ღამეა, ლამპიონების ნათებასთან ერთად თეთრი, ქათქათა თოვლის საფარიც ანათებს“..... „გათენდა, ირგვლივ მიდამო გადათეთრებულია..... აყვავებული და ღია ვარდისფერი ყვავილებით შემოსილი მსხლები გახვეულიყო თოვლის თეთრ, მაგრამ ცივ საბანში“..... „ბუნების თანაბარი შვილებია პაწაწინა ია და ბუმბერაზი მუხა. მუხა თუ ქართული ციხე-დარბაზების მთავარი საყრდენი (ბოძი) იყო, ია სხვა ლამაზმანებთან ერთად მათ კლდე-კარებს და ეზო-პარკებს ამშვენებდა. მათი მეგობრობა მთის მკაცრ საარსებო პირობებში გადარჩენის უპირველესი საწინდარია. მალე გაივლის ზამთარი და ყველანი მეგობრულად შემოსძახებენ მაყრულს აყვავებული მუხნარის მწვანე სამყაროში“..... „ზღმარტლს, კუნელსა და გაფოფრილ ასკილს თითქოს სძინავსო. მათ ყლორტებზე კვირტები დაბერილია, მზადაა გასახსნელად. გვერდით თხილის ბუჩქი გადაყვითლებულია“..... „მდინარის ნაპირზე აღმართული ტირიფი ვერცხლისფერებშია გახვეული. ოქროსფრად ღუის იფანი, ზემოთ აგაზგიზებული კოცონივით ბრიალებს ნეკერჩხალი. რცხილა და თელა ნარინჯისფერ ფოთლებს დაუმშვენებია. ვერხვს ყვითელი, მუხისა და წიფლის ფოთლებს ქარვისფერი დასდებია. წიწვოვნები კი ყოველთვის მწვანედ გამოიყურებიან. დამწიფებულა ასკილი და ფოთოლშემოცვენილს მძიმედ დაუხრია მწიფე ნაყოფი. ტყის პირებთან იისფერი კიდობანა იმზირება. ბუჩქნარებში ლურჯად ხასხასებს დახუნძული მოცვი და კუნელი.“

ავტორს განსაკუთრებით ახარებს მთიელი კაცის მყარი ტრადიცია, რომ გაუფრთხილდეს ბუნებას და იგი პირველადი სახით შეუნახოს მომავალ თაობას. ამიტომ მთიელი კაცი, ტრადიციულად, გეგმაზომიერ მუშაობას ეწევა. „მთაში, სუბალპებზე კი ბალახი ახლად წამოსულია. კორდი ჯერ არაა მომაგრებული, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მას ჩლიქებით ადვილად ჩიჩქნის. ადრე გაზაფხულზე ძოვება კორდს არღვევს და ნორჩი ბალახი კარგავს წამოზრდის უნარს. მთიელმა კაცმა ეს კარგად იცოდა და კორდის შეკვრამდე პირუტყვს აქ არ გაიყვანდა, „ყიშლაზე“ აბალახებდა“, — ამბობს ავტორი. მას ახარებს ისიც, რომ მთის ყველა სოფელს აქვს ე.წ. „იასაღები“- ტერიტორიები, სადაც ჯანმრთელ ხეს არავინ მოჭრის, იქ მხოლოდ ხმელი ტოტებისაგან ან წაქცეული ხეებისაგან ხდება გაწმენდა. ეს იძლევა საშუალებას, შემონახული იქნას ტყის თავდაპირველი ბუნებრივი ფრაგმენტები.

ამასთანავე, წიგნის ავტორს ძალიან სტკივა და მთელი შინაგანი დაძაბულობით წერს ფაქტებზე, როცა ტყე ნადგურდება, წყაროები შრება, მატულობს ეროზია, მეწყერები და ბუნების სხვა სტიქიური მოვლენები. მას ერთნაირად აწუხებს ტრაქტორების მიერ მიყენებული ჭრილობები, სახერხი ქარხნების მიერ განადგურებული ძვირფასი სამასალე ხეები, თამბაქოს ნიკოტინის, მინერალური სასუქებისა და ჰერბიციდების მიერ დაღუპული ფუტკრის ოჯახები და მდინარის მშვენების — კალმახის კატასტროფული შემცირება და სხვ.

წიგნის ავტორი ჭეშმარიტი ბუნების ქომაგია. იგი, ერთი მხრივ, შესანიშნავად ხედავს ბუნებაში ცოცხალ ორგანიზმთა სასიცოცხლო ურთიერთდამოკიდებულებას და მის როლს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში. მეორე მხრივ, ვეღარ მალავს ტკივილსა და დამძიმებულ ემოციებს, როცა ეს ყველაფერი ადამიანის ხელით ინგრევა. იგი სვამს კითხვას: „მერცხლები რატომ აღარ მოფრინდნენ ჩვენთან და გაზაფხულზაფხულში არ ბუდობენ აქ? არც მაღალ შენობებსა და არც სოფლის მიმდებარე კლდოვან მიუვალ ქარაფებზე, იქ, სადაც მხოლოდ მერცხლის ბუდე შეიძლება ყოფილიყო თავისი მიუვალობის გამო. თურმე, საქმე სულ სხვაგვარადაა. არც სოფლის გოგო-ბიჭები, არც კატა-ძაღლები და სხვა არსება არაა მიზეზი მერცხლის განდევნის საქმეში. მთავარი დამნაშავე მაინც ადამიანი აღმოჩნდა. ამ სოფელში მერცხლები უკვე ხუთი ათეული წელია, აღარ ბუდობენ. სულ მიატოვეს ჩვენი სოფელი, რადგან ბუდისთვის სამშენებლო მასალა — ნიადაგი, თიხა მინერალური სასუქებითაა გაჟღენთილი. შხამ-ქიმიკატებმა კი ჰაერი მოწამლა. ამგვარად შეცვლილ საარსებო გარემოში ვეღარ ბუდობს მერცხალი, ვეღარ აშენებს მოწამლული ნიადაგით ბუდეს. მოწამლულ ჰაერში, ატმოსფეროში, მწერიც გამოილია. ნიადაგის მინერალური სასუქებით გაჭუჭყიანება თამბაქოს კულტურის მოშენებამ გამოიწვია. მაშასადამ, არაპირდაპირი გზით ნიკოტინმა განდევნა მერცხალი.“ ამგვარი ლოგიკა ძალიან მოგვაგონებს ჩ. დარვინის სიტყვებს, თუ როგორ ახდენენ კატები გავლენას სამყურას მოსავლიანობაზე: კატები თაგვებს ანადგურებენ, თაგვები კი კრაზანას ბუდეებს ანგრევენ, კრაზანები სამყურას ამტვერიანებენ. ამგვარად, კატები (არაპირდაპირი გზით) გარკვეულად არეგულირებენ სამყურას მოსავლიანობას....ასეთია ცოცხალი ბუნება, აქ ზოგჯერ უხილავი, მაგრამ საოცრად დარეგულირებული მიზანშეწონილობა არსებობს..... წიგნის ავტორი წუხს, როცა ასეთი წონასწორობის დარღვევა ადამიანის ხელით ხდება. ..... ავტორი ოსტატურად აღწერს მთიელების მრავალმხრივ ტრადიციებს, დაწყებული საქონლის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებითა და დამთავრებული საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთობათა მდიდარი ტრადიციების აღწერით..... „ამაყად და მძიმედ მოსიარულე ბუღა ბესოს ნახირში ბელადივით ყოფნა უხდებოდა. ვერ თმობდა პირველობას და მედიდურიც იყო. მის ამპარტავნობას, სიამაყეს და ქედმაღლობას იმით ამართლებდნენ, რომ წლების განმავლობაში ნახირში ჭრელი, უჯიშო და ულამაზო ბოჩოლა არ დაბადებულა.“

ბატონი მურმანი სიამაყით, თანაც არაჩვეულებრივი სიზუსტით და ოსტატობით აღწერს მთიელი კაცის ცხოვრებას, პირველყოვლისა, კარგად, პრაქტიკული თვალსაზრისით უზადოდ მოწყობილ ეზო-კარს: „ეზოში ანკარა წყარო ხის ღარზე გადმოდიოდა, ქოხს სამხრეთ-აღმოსავლეთით, მზიან მხარეს მობიბინე ბოსტანი ამშვენებდა, ზემოდან კი სუფთა ნაძვნარი დაჰყურებდა.“ ძნელია, თქვა უკეთესად. მთის სოფლები სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ალპურ ზონასთან, ალპურ საძოვრებთან, გარკვეული აზრით, მომთაბარეობასთან. ზაფხულში ხომ ალპური საძოვრები განსაკუთრებულად ლამაზი და მიმზიდველია. ავტორი მას შემდეგნაირად აგვიღწერს: „გაზაფხული გავიდა, ზაფხულის ჩახჩახა მზემ მაღალი მთის კალთებიც გაათბო. აღარ მოჩანს ნანამქერალზე გახუნებული მიწის პირი. ათასფერი ყვავილებით მორთული მდელო მწვანედ გახასხასდა. იაილებს არ ემჩნევა ძველი ნაკვალევი. ბაიას — ყვითლად, ტანწერწეტა ნემსიწვერას — ლურჯად მოუქარგავს ეზოები. ხარბად ეტანება მათ ნექტარს რუხი ფუტკარი. სიცოცხლე ჩქეფს მთის ყველა კუთხე-კუნჭულში. ზამთარგადატანილი დაქანცულ-დადუმებული ქოხები გარინდულან მემთევრების მოლოდინში.“

მომხიბლავადაა აღწერილი მემთევრების ტრადიციები, მთაში რძის პროდუქტების დამზადება-შენახვის წესები და გამოცდილება: „მთიდან გადმობარგებამდე იქ დამზადებული პროდუქტების შენახვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მათით გაძეძგილი გვარდა, კროჭი, კოლოფი ნაკლებად ქარიან, მაგრამ სუფთა ჰაერით მდიდარ ადგილზე ინახება. ხშირად უცხო თვალისაგან მოფარებულადაც. შეიძლება გათვალოს ბიოდენებით მოჭარბებულმა მემთევრეთა თვალებმა და მეორე დღეს რძიდან ყველი, ნაღები და ნორმალური კარაქი ვერ მიიღოთ. შრატმაც იდუღოს და ნადუღად არ შეიკრას, მთლიანად წყლად იქცეს.“ მემთევრების საქმიანობა ბარადაც გრძელდება. „გადმოსაზიდად შრატგამოცლილ ყველს გვარდაში ხელახლა ეყრება მარილი და ესხმება შრატი, ნადუღი ხშირ-ხშირად გადაიზილება და პატარ-პატარა ულუფებად მასაც ეძლევა მარილი.“ განსაკუთრებული ცოდნა სჭირდება ყურუთის დამზადებას: „მას საჭირო რაოდენობის ნადუღი, სიმინდის ფქვილი და ერბო სჭირდება, გამოშრობის პროცესი ხომ მთავარზე მთავარია“, — წერს ავტორი.

ავტორი დასძენს, რომ „მთაში დამზადებული რძის პროდუქტებისაგან ყოველდღიურად და განსაკუთრებით საახალწლოდ მრავალ არომატულ და გემრიელ კერძს, როგორიცაა: ბორანი, ჩატეხილი ერბო-კვერცხი, ყაისეფე, ჩირბული, სინორი, კორკოტი, ჰასუთა, ხავიწი და მრავალ სხვას გვიმზადებდა დიდნენე.“ წიგნის ავტორი განსაკუთრებული აღფრთოვანებით დაასკვნის, რომ „დიდნენეს ქცევით და შრომა-საქმიანობით ოჯახში მრავალი ტრადიციაა ჩამოყალიბებული. მთიელთა ოჯახში მათ დავიწყება არ უწერია, რადგანაც წინაპართა მიერ დაგროვილი ჩვევა, ტრადიცია, გამოცდილება არა მარტო მთაში ცხოვრების გარანტიაა, არამედ ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებაცაა“.

მთასთან დაკავშირებულ ტრადიციებში გამორჩეული ადგილი შუამთობის ტრადიციას ეკუთვნის. შუამთობისას „მთავარი მაინც გართობაა: „ცეკვა, სიმღერა, ძველი და ახალი თამაშობები და სპორტული შეჯიბრებები, დოღი, ჭიდაობა და ა. შ. ადრეც და ახლაც ხშირია ქორწილების გამართვა“.

ავტორი დეტალურად აანალიზებს მთიელების კიდევ ერთ ტრადიციას: „მთიელი კაცი უხსოვარი დროიდან სარგებლობდა „ტყის ნობათით“ — ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით, მკურნალობდა მათით და მომჭირნედაც სარგებლობდა“..... ფხალეულთაგან: „აჟორიკა, ბურტყილა, დვალური, მჟაუნა, დონდოლი, ღიმა, ჭინჭარი, სკვანტილა, ჭარბადელო“.....კურკოვან-კენკროვნებიდან: „მაყვალი, მოცვი, წყავი, ზღმარტლი, შავი და წითელი კუნელი (ყრუა), ქაცვი, დათვამსხალა, პანტა ვაშლი, მსხალი და ბალი“.... კაკალნაყოფიანებიდან: „თხილი, წაბლი და წიწიბო“. აღწერილია თითოეული მათგანის საკვები, საგემოვნო და სამკურნალო თვისებები, გავრცელება და შეკრება-დამზადების წესები.

წიგნის ავტორი მომხიბლველად აღწერს მთის კიდევ ერთ ტრადიციას — მამლების ბრძოლის სცენას; „ჩუმად გაიღო მესრით შემოღობილი ღობის კარები და ანზორის მუქწითელა მამალი ძიგძიგით წინ აღუდგა მოწინააღმდეგე ოქროსფერწინწკლებიანს, ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. სისხლით შეიფერა თეთრი მამლის კისერი და ფრთები. ბიბილოდაკორტნილი მამალი უკან იხევს, კარებს ეძებს და მოღობილს გარეთ გამორბის. ოქროსფერწინწკლებიანი თეთრი მამალი ღობეს შეაფრინდება და ყივილით ამცნობს სოფელს ახალი წლის პირველ შუადღეს. წითელი ფერი დიდი შინაგანი ენერგიის გამომხატველია, თეთრი კი — სიმშვიდის, დიდბუნოვნების და მარადიულობის სიმბოლოა“. ვფიქრობ, მკითხველი დამერწმუნება, რომ ნამდვილად ძნელი სავარაუდოა მსგავსი სცენის უკეთესად აღწერა.

მხოლოდ მთის მკვიდრს შეუძლია აღწეროს ახალი წლის სუფრა და მასთან დაკავშირებული ტრადიციები ისე, როგორადაც ამას ახერხებს ბატონი მურმანი. კითხვისას იგრძნობა, რომ ავტორი, თითქოსდა, ყოველივე ამის თანამონაწილეა. წიგნის ავტორი მეტად მიმზიდველად აღწერს მთაში ქორწილის თუ სხვა სამხიარულო შეხვედრების სცენებს. მდიდარ და მრავალფეროვან სუფრასთან ერთად მთიელების ქორწილი განსაკუთრებული გართობა-მხიარულობით გამოირჩევა. თითქმის ყველა სოფელში არიან ცეკვა-სიმღერის და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის ნამდვილი ოსტატები. ავტორი წერს: „გარმონს თამაზ (ხეჩო) ჯაფარიძე განელავდა, ფანდურზე მუხამედ მემიაძე დაამღერებდა, ზოგჯერ ლევან წულუკიძეც გამოჩნდებოდა გიტარით. „მაყრულს“ დურსუნ დავითაძე, ახმედ პატარიძე, ომერ ზოიძე დააგუგუნებდნენ. მეტად საინტერესო ოთხტაქტიან ცეკვაზე „პაწპაწას“ თერჯო სვანიძე დაუვლიდა. კოვზებით ტკაცუნა ცეკვას ფატყუმე დავითაძე ასრულებდა. დროდადრო შემწვარი კარტოფილით, მწიფე ზღმარტლით, ხაპითა და წითელლოყა ვაშლით უმასპინძლდებოდნენ შეკრებილთ. შუაღამე გადავიდოდა, შემოცინებას (გარიჟრაჟს) ბევრი აღარ აკლდებოდა, როცა დაშორდებოდნენ.“



ავტორს ყურადღების გარეშე არ დარჩენია მთიელი კაცის განსაკუთრებული სიყვარული მიწისადმი. „მთიელი განსაკუთრებული მზრუნველობით ექცევა მიწას (ნიადაგს). უკანასკნელ წლებში მთელ საქართველოში მიწისადმი შეცვლილი დამოკიდებულების მიუხედავად, მთიანი აჭარის სოფლებში ეს ჯერ არ იგრძნობა“. ავტორი განსაკუთრებული ტკივილით წერს ე.წ. „ეკომიგრანტებზე,“ რომლებსაც ბუნების სტიქიურმა მოვლენებმა იძულებით დაატოვებინა თავიანთი მიწა-წყალი, მაგრამ იქვე დასძენს: „ისინი ეკომიგრანტები კი არა, საქართველოს მიწა-წყლის ღირსეული პატრონები არიან, ყველაზე კარგად მათ იციან, რომ სიმდიდრის წყარო ნიადაგი, მიწაა“.

ავტორი თავის მოგონებებში დიდი მადლიერებით მოიხსენიებს აჭარის მთიანეთში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოხალისედ ჩამოსულ მასწავლებლებს. მათ ხომ ზემო აჭარლებს და განსაკუთრებით პატარა გოგო-ბიჭებს ქართული ანბანი და საქართველოს მდიდარი ისტორია ასწავლეს. ავტორი დასძენს: „მათი ამაგი უკვდავია, დავიწყება არ უწერია“. იქვე სიამაყით აღნიშნავს, რომ ბევრი მათგანი ზემოაჭარლების რძლებიც კი გახდნენ.

წიგნის ავტორი ბევრ საინტერესო მეცნიერულ პრობლემასაც ეხება. ის, პირველყოვლისა, ეხება აჭარის მცენარეთა სამყაროს უნიკალობასა და თავისებურებებს. მეცნიერულ ახსნას უძებნის აქ მცენარეთა ადვენტურობის მაღალ მაჩვენებლებს. ასევე საფუძვლიანად აღწერს ენდემიზმის მოვლენებს აჭარის მცენარეთა სამყაროში და გვთავაზობს მათი დაცვის მეცნიერულ რეკომენდაციებსაც. აჭარის ფლორისა და მცენარეულობის განსაკუთრებულობის გამო, — სიამაყით აღნიშნავს ავტორი, — ბევრმა გამოჩენილმა მკვლევარმა აჭარას „ბუნების მდიდარი მუზეუმი“ უწოდა. ვფიქრობ, წიგნში, რომელიც სტატიების, წერილებისა და მოგონებების კრებულია, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ავტობიოგრაფიული ნარკვევი — „მიდიოდა, მთიდან მიდიოდა.“ სწორედ აქ ჩანს ყველაზე კარგად მთის ძახილი. ავტორი პერსონაჟებს სხვა სახელებით და გვარებით წარმოგვიდგენს, მაგრამ იოლი მისახვედრია, რომ ეს ნამდვილი ამბავია და იგი მის ოჯახს და პირადად მას ეხება. მხატვრულად, ძალიან მოხერხებული ფორმით, მთიელი კაცის შინაგანი ენერგიისა და მონდომების გათვალისწინებითაა აღწერილი სიძნელეები და ზოგჯერ თავგამეტებული რისკებიც კი, რომლებიც ხვდება გზაზე ბიჭს, რომელსაც განზრახული აქვს, არ შეუშინდეს არაფერს, იყოს მებრძოლი და მიზანსწრაფული. მართლაც, ყოველგვარი წინააღმდეგობების მიუხედავად, ახალგაზრდა ყმაწვილი აღწევს სასურველ მიზანს. ეს კი არის ჭეშმარიტი ბრძოლის შედეგად ნამდვილი იმედის გამარჯვება უიმედობასა და გულგატეხილობაზე.

წიგნის საერთო შეფასებისათვის ავტორს დავესესხები: „ბევრს დაუწერია და უსაუბრია თავის სოფელზე — დიდსა თუ პატარას, მეცნიერსა თუ მწერალს, სხვა შემოქმედსაც. თითოეულს ქებათა-ქებით აქვს აღწერილი თავისი მშობლიური მიწა. მშობლიური კუთხის სიყვარულში ერთმანეთს ეჯიბრებიან. მე ამ წიგნით მათ ვერ შევეჯიბრები, მაგრამ ჩემებურად მაინც მინდა გამოვხატო მისდამი სიყვარული და სიკეთე. დიახ, პატარა ტბეთი, დიდი ტბეთის ეს ციცქნა ნაწილი, ძმა, კვლავ სავსე იქნება ტბეთელებით, რომლებიც მიწის მოძალადებული სიყვარულით კიდევ განსახლდებიან მშობლიური საქართველოს მამა-პაპათა ნაფუძრებზე!“

ღმერთმა აგიხდინოს თქვენი ოცნება, ბატონო მურმან!

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი

ანზორ დიასამიძე



სტუმრად მწერალ ოტია იოსელიანთან

თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის ოტია იოსელიანი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მწერლის საცხოვრებელი სახლი ქ. წყალტუბოში დიდი ხანია კულტურის ცენტრად იქცა, სადაც ხშირად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვა ასაკის მკითხველი ხვდება ბატონ ოტიას და მასთან საუბრის ბედნიერება დიდხანს ამშვენებს მის ცხოვრებას. ადამიანები იშვიათი რელიქვიების სახით ინახავენ ოჯახში ბატონ ოტია იოსელიანის ავტოგრაფებით დამშვენებულ მისი წიგნებს.

ჩვენც გაგვიმართლა და ერთი წლის მანძილზე, პროფესორ იური ბიბილეიშვილის ხელმძღვანელობით, მოვახერხეთ ორჯერ შეხვედრა მწერალ ოტია იოსელიანთან, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ მომკითხველების შეხვედრა 80 წლის მწერალთან, არამედ ეს იყო მკითხველის შეხვედრა საყვარელ მწერალთან. ეს ასე მოხდა: პირველი შეხვედრის მომზადებას სულ ცოტა სამი თვე მოვანდომეთ. პროფესორმა იური ბიბილეიშვილმა თავიდანვე განსაზღვრა და ჩამოაყალიბა მწერალთან შეხვედრის სტრატეგია. მწერალთან შეხვედრა უნდა იყოს მკითხველისა და ავტორის შემოქმედებითი ხასიათის შეხვედრა. თუ მკითხველი კარგად იცნობს მწერლის შემოქმედებას, მას უამრავი სასაუბრო თემა დაუგროვდება მწერალთან. მწერლის ბედნიერებაც სწორედ ეს არის. მწერალს სურს, მკითხველი კითხულობდეს და ფიქრობდეს. შეხვედრის დროს ფიქრიანი მკითხველი მწერლისაგან ყოველთვის საინტერესო პასუხს მიიღებს. მხოლოდ ასეთი შეხვედრისათვის გვამზადებდა ბატონი იური ბიბილეიშვილი, მაგრამ, როგორც ყოველ პირველ ნაბიჯს, ამ ჩვენ მომზადებასაც ახლდა ნაკლოვანი მხარე. მხედველობაში გვაქვს მწერალთან პირისპირ საუბრის გამოუცდელობა. საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ახლაც იშვიათად ავარჯიშებენ ახალგაზრდებს მწერალთან სასაუბროდ. ბუნებრივია, არც ჩვენ გვქონდა განვლილი ასეთი სკოლა და პირველი შეხვედრა, რომელიც 2010 წლის გაზაფხულზე შედგა, დამთავრდა მხოლოდ მწერლის საუბრით და ჩვენ, როგორც იტყვიან, თავი ვერ მოვაბით შეკითხვის დასმას და წაკითხულ ნაწარმოებებზე ჩვენი შთაბეჭდილებების გადმოცემას. ეს აისახა ბატონ ოტიას ჩვენდამი დარიგებებშიც. მწერალი დაბეჯითებით გვთხოვდა, რაც შეიძლება მეტი გვეკითხა კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურა, გვეფიქრა და გვემსჯელა წაკითხულის შესახებ.

მეორე შეხვედრა მივუძღვენით საყვარელი მწერლის საიუბილეო თარიღს. 2010 წლის 16 ივნისს ბატონ ოტიას 80 წელი შეუსრულდა. 20 ნოემბერს 20 სტუდენტი და პროფესორები შოთა ზოიძე და რამაზ ხალვაში ბატონ იური ბიბილეიშვილის ხელმძღვანელობით გავემგზავრეთ მწერალთან საიუბილეო თარიღის მისალოცად. ამ შეხვედრისთვის დიდხანს ვემზადებოდით. ყველა სტუდენტმა შეისწავლა ოტია იოსელიანის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ჩემი ასავალ-დასავალი“. პირადად მე მოვასწარი და წავიკითხე მწერლის ათტომეულის პირველი სამი ტომი. „ჩემი ასავალ-დასავალის“ გარდა, სხვა ნაწრმოებები დანარჩენ სტუდენტებსაც ჰქონდათ წაკითხული. დარწმუნებული ვიყავით, რომ ამჟამად უფრო ძლიერი მკითხველის სახით წარვუდგებოდით მწერალს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთი წლის მანძილზეც გულდასმითი მზადება ოტია იოსელიანის დონის მწერალთან შესახვედრად, საკმარისი არ არის, თუ ახალგაზრდობა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე სისტემატურად არ კითხულობს, თუ არ ეჩვევა კრიტიკულ კითხვას. ამჯერადაც ჩვენი შეხვედრა მხოლოდ მწერლის საუბრის სახით წარიმართა, მაგრამ წაკითხულის შესახებ ჩვენი შთაბეჭდილებების გაზიარება მაინც არ იყო ისეთი, როგორსაც ბატონი ოტია მოითხოვს სტუდენტებისგან. ჯერ ჩვენ შორის დიალოგი გაიმართა. ახლა ამის შესახებ ასე ვრცლად იმიტომ ვწერთ, რომ გვინდა ვურჩიოთ ჩვენს სტუდენტობას — ნუ დაკარგავენ დროს და თანამედროვე და კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებები მეტი იკითხონ, ისწავლონ წაკითხულის შესახებ კამათი და საუბარი.

მეორე შეხვედრა მაინც იყო მწერლისათვის საინტერესო. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ პოეტი ზაალ ებანოიძე და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორები — ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ოთარ ჭუმბურიძე და მირიან ებანოიძე. პროფესორმა იური ბიბილეიშვილმა მწერალს მიართვა მისი ორი ახალი ნაშრომი, რომელიც ბატონ ოტია იოსელიანის შემოქმედებას ეხებოდა. შემდეგ მოახსენა მწერალს, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწოფო უნივერსიტეტში ორგანიზებულ ხასიათს ატარებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის ზეპირად შესწავლა. ამასთან დაკავშირებით ბატონმა იური ბიბილეიშვილმა მწერალს 25 სტუდენტის სია გადასცა, რომლებიც ჩართულნი ვართ „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად დასწავლაში. ამაზე უსაზღვროდ გაიხარა ბატონმა ოტია იოსელიანმა და განაცხადა: „ჩემთვის ამაზე ძვირფასი საიუბილეო საჩუქარი დღემდე არავის მოურთმევია. ბედნიერი ვარ, რომ ქართველი სტუდენტები ზეპირად ღამობენ „ვეფხისტყაოსნის დასწავლას“. ამის შემდეგ ოცამდე სტუდენტი წარდექით მწერლის წინაშე და დავიწყეთ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სამი თავის ზეპირად კითხვა. ჩვენ შორის განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თანაკურსელებმა ქეთევან დათუნაშვილმა და მაგდა რუხაძემ. მან არა მხოლოდ ყველაზე მეტი სტროფი იცის ზეპირად, არამედ გამორჩეული ინტონაციით კითხულობს, რასაც მწერალმა და სტუმრებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. ქეთევან დათუნაშვილმა დიდი მოწონება დაიმსახურა იმით, რომ ყველაზე მეტი სტროფი იცის ზეპირად და წარმოთქვამს დინჯად და გააზრებულად.

შემდეგ გავმართეთ მწერლის საიუბილეო ტრაპეზი, სადაც თამადობა თავად ბატონმა ოტიამ იკისრა. უნდა ვთქვა, რომ ეს იყო ქართული ზნეობის აკადემია. თითოეულ მონაწილეს გაგვახსენდა ბატონ ოტიას ერთი ნოველა, სადაც ამ თემასაც ეხება მწერალი და თუ მის პერიფრაზს მივმართვთ, ჩვენი შთაბეჭდილება ასეთ სახეს მიიღებს: „ქართული სუფრა ნამდვილად იქცევა აკადემიად, თუ თამადად ბატონი ოტია იოსელიანი ეყოლება“.

ბატონი ოტია იოსელიანი თამადობდა და ქადაგებდა. ქართული სუფრის თამადა ნამდვილად ქადაგი უნდა იყოს. თამადამ იქადაგა სამშობლოს სიყვარული, ახალგაზრდობის მომზადება სამშობლოს სამსახურისთვის, იქადაგა ზნეობრიობის შესახებ, განათლების, წიგნიერების შესახებ. შეუმჩნევლად გაილია ჩვენი სტუმრობის დრო, სამაგიეროდ დავბრუნდით წარუშლელი შთაბეჭდილებებით.

მაგრამ ამით არ დამთავრებულა ჩვენი მოგზაურობა. „ბათუმი — წყალტყუბო — ბათუმი“. იმავე დღეს, სოფელ დიდ ჯიხაიში მოვინახულეთ დიდი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი. გავეცანით იმ დიდი ქართველის შემოქმედებას, ყოფა-ცხოვრების წესს, ულამაზეს მამულს. ამ ექსკურსიას ჩვენთვის ღრმად შემეცნებითი ხასიათი ჰქონდა.

წინ კიდევ საინტერესო შეხვედრები გველის...

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების სპეციალობის II კურსის სტუდენტი
ელისო ალიგეგაშვილი

რეჟა თეატრი ცხოვრების სარკე

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატული თეატრი ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების აღზრდისა და განათლების პროცესის ორგანულ ნაწილად იქცა. თეატრის მმართველის, რეჟისორ ზაზა ხალვაშის თანადგომით უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფები უფასოდ ესწრებიან სპექტაკლებს. დაწყებითი განათლების სპეციალობის სტუდენტები კარგად იცნობენ თეატრის ახლანდელ რეპერტუარს და შემოქმედებით კოლექტივს.

სპექტაკლი „მეფე ლირი თავშესაფარში“, რომელიც საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ენვერ ჩაიძემ დადგა დრამატურგ ოთარ ბაღათურიას ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით, დადასტურებაა იმისა, რომ თეატრი თუ ცხოვრების სარკეა, მაყურებელი სპექტაკლს ღებულობს როგორც საკუთარი ბიოგრაფიის ნაწილს. დრამატურგი და რეჟისორი გამოწვევას უკეთებენ იმათ, ვისაც ხელეწიფებათ (და ევალებათ!) საზოგადოებრივი ცხოვრების მართვა და სწორი გზით წარმართვა. მოხუცთა თავშესაფარი რომ არსებობს, ეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჰუმანისტური ბუნების დადასტურებაა, მაგრამ კიდევ უკეთესია, სახელმწიფოს საერთოდ არ სჭირდებოდეს მოხუცთა თავშესაფარი. ამასთან, სპექტაკლში არაერთი მინიშნება და კარგად მიგნებული მიზანსცენაა იმის გასამჟღავნებლად, თუ რაოდენი სევდა იმალება თუნდაც კარგად მოვლილი თავშესაფრის ბინადართა გულში, მიუხედავად ამისა ადამიანი მაინც წინ იხედება. უ. შექსპირის „მეფე ლირის“ დადგმის სურვილში იკითხება ადამიანის წინგახედვის გეში. მართალია, მოხუცთა თავშესაფრის ბინადარნი საკუთარი ძალებით „მეფე ლირს“ ვერ დადგამდნენ, მაგრამ ის, რომ პენსიონერის სიცოცხლე გრძელდება და ადამიანი ყოველნაირად ცდილობს თვითდამკვიდრებას საზოგადოებაში, ეს უცვლელი კანონია ადამიანური არსებობისა.

სპექტაკლში ძირითადად დაკავებულნი არიან თეატრის ვეტერანი მსახიობები, რომელთა ღვაწლით ახლო წარსულში წარმატებულ შედეგებს აღწევდა თეატრი. ამასთან, ამ სპექტაკლში ისიც იკითხება, რომ ჭეშმარიტად ნიჭიერ შემოქმედთ თავდაღმართი არა აქვთ შემოქმედებით ცხოვრებაში.

სპექტაკლი მიჰყავს საქართველოს დამსახურებულ არტისტს ცირა აბზიანიძეს. მისი პერსონაჟი დოდო ტრაგიკული ბედის ქალია — ქმარი გაულოთდა და ოჯახიდან წავიდა, შვილი ბედის საძიებლად ამერიკაში წავიდა, თვითონ მოხუცთა თავშესაფრის ბინადარი და თავშესაფარში „მეფე ლირის“ დადგმის რეჟისორია. მსახიობის წინაშე რთული ამოცანა დგას. როგორც ყოველ ინდივიდს, მასაც საკუთარი სამყარო აქვს. ის არ ნებდება გულგატეხილობას და ინარჩუნებს მხნეობას. ხოლო როცა ყოფილ ქმარს — თავშესაფრის ახალ ბინადარს სანდროს (მსახიობი კახა კობალაძე) შეხვდება თავშესაფარში, ცირა აბზიანიძის დოდო უშურველად იხარჯება ქალური სინაზისა და მოსიყვარულე მეუღლის განწყობილების გამჟღავნებაში. მბრძანებელი რეჟისორიდან გადასვლა ქმრის მოსიყვარულე ცოლისა და შვილსმონატრებული დედის ამპლუაში მიმდინარეობს ბუნებრივი დამაჯერებლობით, ამ ქალისთვის არ არსებობს მხოლოდ წარსული. იგი ახლაც ცხოვრობს და მომავალსაც იმედით შეჰყურებს.

ხანდაზმულობის დაუვიწყარი სახე შექმნა საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა თამარ სულხანაშვილმა. მისი ანიკო დამლაგებლის მოვალეობას ასრულებს თავშესაფარში. მართალია აშკარად ღალატობს მეხსიერ ება და ფიზიკური შესაძლებლობებიც, მაგრამ როგორც დედა, განუმეორებელია. რად ღირს მარტო მისი მიფერება ყურმილზე, საიდანაც შვილის ხმა ესმის. რამდენი სითბო და ღირიზმი იხატება ამ დროს თამარ სულხანაშვილის პერსონაჟის ხასიათში.

იმპროვიზაციის ჩვეული ოსტატობით გამოირჩევა საქართველოს სახალხო არტისტის მანუჩარ შერვაშიძის მუშაობა სპექტაკლის მსვლელობის მთელ მანძილზე. მისი ვანიკო ყოფილი მსახიობია, რომელსაც ახლა დიდი პრეტენზია აქვს სპექტაკლში მთავარი როლის შესრულებაზე, მაგრამ ღალატობს ზომიერების გრძნობა. მსახიობი თავისი პერსონაჟის ხასიათს აგებს პიროვნებაში შესაძლებლობასა და სურვილებს შორის წინააღმდეგობაზე.

სახასიათო როლი ყოველთვის მდიდარ შესაძლებლობას აძლევს მსახიობს გამომგონებლობისათვის. მანუჩარ შერვაშიძეც თავს ისე გრძნობს როლში, როგორც თევზი წყალში. მისი რეპლიკა ყოველთვის ხასიათიდან გამომდინარეობს და ამიტომ არის ზუსტი და მიგნებული.

შესაფერისი ტონალობით ასახიერებს თავის პერსონაჟს საქართველოს სახალხო არტისტი ნინო საკანდელიძე. მისი რუსიკო მხოლოდ წარსულით ცხოვრობს. აკვიატებული სტრიქონის „როცა პირველად სასწავლებელში“ წარმოთქმის მანერაში მსახიობი კარგად ავლენს ხანდაზმულობის ტიპურ თვისებას — მის ხალისიან განწყობილებას წარმოქმნის არა იმედი, არამედ მოგონება.

აჭარის დამსახურებული არტისტი ბერდია ინნკირველი ჩვეული ოსტატობით ასრულებს ყოფილი ბუღალტრის და ყოველთვის გაორებული კაცის — გოგის როლს. ტექსტში ძუნწად არის გადმოცემული გოგის ხასიათი, სამაგიეროდ მსახიობმა მოძრაობით, სიარულის მანერით, უმეტესად უხმოდ, უსიტყვოდ მიგვანიშნა გოგის გაორებულ პოზიციაზე. მსახიობმა განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა ავთო ქარჩავას შაკოს აჩრდილის მიზანსცენა. მოხუცთა თავშესაფრის უფროსის შაკოს მხარდაჭერაში ვლინდება მისი უღირსობა. ბერდია ინნკირველის გოგი უღირსი პიროვნებაა, რომელსაც თითქმის ყოველ დაწესებულებაში შეიძლება შევხვდეთ.

უთუოდ რთული აქტიორული ამოცანები აქვს გადასაწყვეტი აჭარის დამსახურებულ არტისტს ავთო ქარჩავას. მისი შაკო თავშესაფრის მეპატრონეა. მას ევალება მოხუცების მოვლა, მათი ინტერესების დაცვა, მაგრამ როგორც კი გამოჩნდა პირადად მისთვის უფრო სარფიანი გარიგება, უმალ პირადი ინტერესები დააყენა წინა პლანზე და მოხუცები გამორეკა თავშესაფრის შენობიდან. ჩვენ ამ მეტაფორაში ვხედავთ ადამიანის ბედისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოვლინებას, რაც თან ახლავს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებულ საზოგადოებას. ამ როლის შესრულებისათვის მსახიობს ხელს უწყობს ყველაფერი — ასაკი, გარეგნობა, მხატვრული ტექსტის გააზრებისა და აქტიორული შესრულების ხელოვნება.

დიდი ხანია სცენაზე არ გვინახავს საქართველოს დამსახურებული არტისტი ლევან ღლონტი. ამჯერად მან ითამაშა უთვისტომო ლოთი არკადის როლი. იგი არც რუსია, არც ქართველი, ის არის მოხუცი, რომელიც ახლაც არავის სჭირდება. შესაბამისად, გაუგებარი და ბუნდოვანია მისი ქართული მეტყველება, რასაც წარმატებით ანსახიერებს მსახიობი ეროვნებადაკარგული ადამიანის ჩვენებისათვის.

რთული ფსიქოლოგიური ხასიათის პერსონაჟია აჭარის დამსახურებული არტისტის კობა კობალაძის სანდრო. ისიც მოხუცთა თავშესაფრის ბინადარია მეუღლესთან (დოდო) ერთად. უდავოდ ნიჭიერი ადამიანები არიან სანდრო და მისი მეუღლე, მაგრამ პირადი ოჯახური ცხოვრება მაინც დაენგრათ. ამით დრამატურგი და დამდგმელი რეჟისორი ხომ არ მიგვანიშნებენ იმაზე, რომ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის მოვლა საზოგადოების მოვალეობაა. ამას გვაფიქრებინებს კახა კობალაძის სანდროს გამოჩენაზე ამტყდარი მითქმა-მოთქმა — „ეს ხომ ის მსახიობია, რომელიც ბევრ ფილმშია გადაღებული?“ მაგრამ ახლა გალოთებული და ღირსებადაკარგულია.

დუმილით მეტყველების, დუმილით თამაშის ხელოვნება გვიჩვენა აჭარის დამსახურებულმა არტისტმა ნოდარ იაკობაძემ. მისი პერსონაჟია მამა, რომელიც შვილს მოხუცთა თავშესაფარში მოჰყავს, იშორებს თავიდან და მხოლოდ მალე მონახულებას ჰპირდება. მსახიობი უსიტყვოდ, მხოლოდ გულისწვით, გაუნელებელი სევდით, მაგრამ უაღრესად დამაჯერებლად ხატავს პერსონაჟის ტრაგიკულ განცდებს.

მსახიობი ზურა ქავთარაძე დასამახსოვრებელ სახეს ქმნის კაკოს როლში. კაკო მოხუცთა თავშესაფრის ბინადარია, რომელიც არ ნებდება ცხოვრების წარმავლობის კანონს, მაგრამ ფაქტიურად უძლურია ამ დაუმორჩილებლობაში.

შინაგანი პროტესტის გამხელის კარგი მანერა გვიჩვენა მსახიობმა ეკა ჩავლეიშვილმა კლარას როლში. ასევე საინტერესოა აჭარის დამსახურებული არტისტი ნუნუ ხინიკაძე ქეთის როლში;

უმნიშვნელო როლი აქვს ქეთევან ხალვაშს. თავად ბავშვი ბავშვის როლს ანსახიერებს სპექტაკლში; ეს როლი არ გამოირჩევა ვრცელი დიალოგებით, მაგრამ ქეთევან ხალვაში აშკარად სცენიურია, გააზრებულად ასრულებს რეჟისორის დავალებას.

სპექტაკლში დაკავებული არიან მსახიობები ჯემალ ველიაძე, გოჩა ხვიჩია, გიორგი ფირცხალაიშვილი, გიორგი მეგრელიძე, მარინა ბურდული, ლევან თედრაძე.

ცალკე უნდა ითქვას სპექტაკლის ენის შესახებ. სხვა სპექტაკლებთან შედარებით სარეცენზიო სპექტაკლში შედარებით ნაკლებადაა გამოყენებული ბილწსიტყვაობა. მაგრამ თუ კარგად გავიხსენებთ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას სცენიდან წარმოთქმული სიტყვისადმი (სცენიდან ყველაზე კარგი ქართული უნდა ესმოდეს მაყურებელსო) — არც ერთ სპექტაკლში არც ერთი ბილწი სიტყვა არ უნდა ისმოდეს. არაფერს არ ჰმატებს სარეცენზიო სპექტაკლს ეს დიალოგი: „აბა თქვი ა!“ პასუხი: „ტ...ში ქვა“.

უდავოდ წარმატებულია სცენოგრაფიული და მუსიკალური გაფორმების მხარე. მხატვარი აივენგო ჭელიძე ტიპური დეტალებით აგებს მოხუცთა თავშესაფრის გარემოს, ჩაცმულობას. თენგიზ შამილაძემ, თუ გამოვიყენებთ ტელევიზიაში დამკვიდრებულ ტერმინებს — კარგი მუსიკალური შეფუთვა მოუძებნა ადამიანთა სევდიან ყოფას.

მაყურებელმა სპექტაკლი „მეფე ლირი თაშესაფარში“ გულთბილად მიიღო.

ი. ბიგილეიშვილი

ნიჭიერების კვლევის ისტორიიდან

ნიჭიერების პრობლემის მეცნიერული კვლევა ზოგადი გონიერების შესწავლით დაიწყო. იგი სათავეს იღებს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ინგლისელმა ფ. გალტონმა საფუძველი დაუდო ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებათა ექსპერიმენტულ კვლევას. გალტონის შრომებში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა საკითხის ბიოლოგიურ (გენეტიკურ) ასპექტებზე. XX საუკუნის დასაწყისში ჩასახული ტესტოლოგია (ფრანგი ა. ბინე და სხვ.) ნიჭიერების მაჩვენებლად თვლიდა ტესტური ამოცანების გადაწყვეტაში წარმატებების ხარისხს. ფაქტობრივად უგულებელყოფილი იყო ნიჭიერების ზოგადი თეორიის დამუშავების საჭიროება.

ნიჭიერების პრობლემისადმი ინტერესი დღესაც დიდია, მაგრამ ნიჭისა და ზოგადი გონიერების პრობლემატიკა ჯეროვნად მაინც არ არის გარკვეული. ეს ეხება ნიჭიერების პრობლემის, როგორც ბიოლოგიურ (ფიზიოლოგიურ) მხარეს, ისე ფსიქოლოგიურსაც.

წინამდებარე წერილში ლაპარაკი გვექნება ნიჭიერების ბიოლოგიური საფუძვლების შესწავლის, „გენიოსობის“ მატერიალური დასაბუთების ერთი საიდუმლო ცდის შესახებ. რადგან ეს ცდა დიდი ხნის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო, წერილს შეიძლება უფრო მეტი ინფორმაციული ღირებულება ჰქონდეს, ვიდრე მეცნიერული. მაგრამ პრობლემისადმი ინტერესიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ მისი წინამდებარე სახით წარმოდგენა.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში, განსაკუთრებით კი მისი სიკვდილის შემდეგ, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მაღალ ეშელონებში (და არა მხოლოდ) ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ ლენინის გენიალობის, მისი უნიკალური, არნახული ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ. ლენინის სიკვდილის შემდეგ კი პოლიტბიუროში გაჩნდა იდეა მოეწყოთ ლენინის თავის ტვინის საიდუმლო მეცნიერული შესწავლა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის გენიოსობის მატერიალური დასაბუთებისათვის. ცხადია, ყველაფერი ეს თავიდანვე გათვლილი იყო პროპაგანდისტული მიზნებისათვის, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ლენინის გენიალური აზრები იბადებოდა მის გენიალურ ტვინში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლენინის ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ იყო განსხვავებული აზრიც. ლენინი განსაკუთრებული, გენიალური ნიჭერებით რომ არ იყო დაჯილდოებული, ამის შესახებ წერდნენ და ამბობდნენ მის სიცოცხლეშიც. ამასვე ადასტურებენ მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული პუბლიკაციებიც.

ვინაიდან ლაპარაკია ფსიქიკის ძირითად ორგანიზმზე — თავის ტვინზე, საჭირო იქნება გავიხსენოთ, რომ ლენინს მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს აწუხებდა თავის ტკივილები. ერთ-ერთი მიზეზი თავის ტკივილებისა, მეცნიერ-მედიკოსთა აზრით, იყო ფსიქიკური დაავადება, მემკვიდრულად განპირობებული ფსიქოპათიური მოვლენები. შესაბამისი საარქივო მასალები ადასტურებენ, რომ ლენინის პაპის მამა — მოიშა ისაკის ძე ბლანკი — ყოფილა ფსიქიკურად ავადმყოფი ადამიანი. შემთხვევითი არაა, რომ ლენინი ახალგაზრდობაში უცხოეთის ფსიქონევროლოგიურ კლინიკებშიც დადიოდა, ხოლო 1922-1923 წლებში მისი მკურნალი ექიმების უმრავლესობა (მთლიანობაში 8 უცხოელი და 19 საბჭოთა ექიმი) ფსიქიატრები და ნევროპათოლოგები ყოფილან.

ლენინის თავის ტკივილების მეორე მიზეზი კი, როგორც ირკვევა, შეძენილი ხასიათისა ყოფილა. ახალგაზრდობაში ლენინი ავად იყო ვენერიული სნეულებით. როგორც თვითონ აღიარებს დისადმი მიწერილ წერილში, 1895 წლის ზაფხულში, უცხოეთში თავისი პირველი მოგზაურობისას, ერთ შვეიცარიელ კურორტში „მახეში გაება“ (უწესო ცხოვრების გამო აიკიდა ვენერიული დაავადება — ნ.ბ.) და მოხვდა საავადმყოფოში. აქ მან არასრულყოფილად იმკურნალა და როგორც ჩანს, დაავადების ნიშნები შემორჩა და განვითარდა სიკვდილამდე, რაც მისი ტვინის სისხლძარღვების სერიოზული დაზიანებისა და სიკვდილის მიზეზთაგანიც გამხდარა.

თუმცა, ექიმთა ოფიციალურ დასკვნაში, აგრეთვე, ჯანმრთელობის დაცვის მაშინდელი სახალხო კომისრის ნ. სემაშკოს შესაბამის სტატიაში, რომელშიც იგი აღწერს ბელადის ავადმყოფობასა და გარდაცვალებას, სიკვდილის ძირითად მიზეზად აღიარებულია ათეროსკლეროზი, სისხლის მიმოქცევის პროცესის დარღვევა, საკვების უკმარისობა და სისხლჩაქცევები ტვინში.

გასაგები მიზეზების გამო საბჭოთა ხელისუფლებამ, პარტიულმა ელიტამ საზოგადოებას დაუმალა ლენინის სიკვდილის ძირითადი მიზეზი, თორემ ლენინის სიკვდილამდე თითქმის ერთი წლით ადრე ავტორიტეტულ ექიმთა 1923 წლის 21 მარტის კონსილიუმზე, იგივე ნ. სემაშკოს თანდასწრებით, ყველა შეჯერდა იმ მოსაზრებაზე, რომ პაციენტის დაავადება იყო სიფილისური წარმოშობის. შემდეგში თავის ტვინის გამოუქვეყნებელმა მიკროსკოპულმა გამოკვლევებმაც დაადასტურა, რომ ლენინი დაავადებული იყო სისხლძარღვების სიფილისით. სხვათა შორის, ცნობილი რუსი ფიზიოლოგი აკად. ი. პავლოვიც, რომელიც საბჭოთა წყობილებას ადარებდა სამ ყველაზე საშიშ დაავადებას — სიფილისს, კიბოს და ტუბერკულოზს — თავის კოლეგა მეცნიერებთან საუბარში ადასტურებდა, რომ ლენინი ავად იყო სიფილით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა როდი იზიარებს ამ მოსაზრებას. მაგალითად, დ. ვოლკოგონოვი თვლის, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სისხლძარღვთა დაავადებისადმი მემკვიდრული წარმოშობის მიდრეკილებაც. ამას მოწმობს ლენინის მამის, მისი დების და ძმის სიკვდილიც ათეროსკლეროზით. აგრეთვე, გასათვალისწინებელია 47 წლის თავისუფალი ადამიანისათვის მისთვის უჩვეულო მოვალეობის — სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციის შესრულებაც, რომელიც ყოველდღიურ დაძაბულ მუშაობას მოითხოვდა, რასაც ვერ გაუძლო ლენინის ორგანიზმმა, იგი „გატყდა“.

რა თქმა უნდა, ეს ფაქტორებიც გასათვალისწინებელია, მაგრამ ვერსად წაუვალთ ლენინის ტვინის სამედიცინო გამოკვლევის შედეგებს და ზემოაღნიშნულ სხვა ფაქტებს.

ასეა თუ ისე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ლენინი იყო უმძიმეს მდგომარეობაში: ვერ ლაპარაკობდა, ვერ დადიოდა, ნორმალურად ვერ აზროვნებდა. ზოგჯერ მას ჰქონდა შეშლილი ადამიანის სახე, ზოგ შემთხვევაში — ბავშვური გამოხედვა. იგი სულიერად და ფიზიკურად სრულიად უმწეო, საცოდავ არსებას წარმოადგენდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ლენინი გარდაიცვალა 1924 წლის 21 იანვარს.

1925 წლის თებერვალში, პოლიტბიუროში არსებული იდეის რეალიზაციის მიზნით, შედგა წინასწარი შეხვედრა პარტიულ მოღვაწეებსა და მეცნიერ-მედიკოსებს შორის. მედიკოსებს დაუსვეს კითხვა: შესაძლებელია თუ არა ლენინის თავის ტვინის ციტოარქიტექტონურმა შესწავლამ მიანიშნოს მისი გენიოსობის მატერიალურ დასაბუთებაზე? უკლებლივ ყველასგან, მათ შორის ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორ ფოხტისგანაც მიღებული იქნა დადებითი პასუხი. რაც შეეხება ტვინის გამოკვლევის ტექნიკურ მხარეს, მეცნიერთა აზრით, ტვინი უნდა დაჭრილიყო 1,8 სანტიმეტრის სისქის ფენებად. ფენები უნდა დამუშავებულიყო სპეციალური ხსნარით და მოთავსებულიყო პარაფინში. შემდეგ საჭიროებისამებრ მათგან უნდა გაკეთებულიყო თხელი ანაჭრები პათოლოგოანატომიური გამოკვლევებისა და ფოტოგრაფირებისათვის. პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, მოსკოვში შეიქმნა ლენინის ტვინის შემსწავლელი ლაბორატორია, რომელიც შემდეგში გადაკეთდა ინსტიტუტად.

რა თქმა უნდა, ადამიანის თავის ტვინის მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ იმთავითვე ნათელი იყო პარტიული ხელმძღვანელობის არაჯანსაღი, ცრუმეცნიერული მისწრაფება მიეღოთ ისეთი შედეგი, რომლებიც მატერიალურად დაასაბუთებდნენ ლენინის თავის ტვინის განსაკუთრებულობას, მის უპირატესობას სხვებთან შედარებით.

ფოხტმა სემაშკოსგან მიიღო ლენინის ტვინის ერთი ანაჭერი, რომელსაც იგი ფართოდ იყენებდა თავის ლექციებში და საჯარო გამოსვლებში გერმანიაში. ამ ანაჭრისაგან ილუსტრაციისათვის გაკეთდა დიაპოზიტივები, რომლებსაც ადარებდნენ სხვა ადამიანების, მათ შორის დამნაშავეების თავის ტვინის ანაჭრებს.

1927 წელს ფოხტმა პარტიისა და მთავრობის წევრთა ვიწრო წრეში გაიკეთა მოხსენება ლენინის ტვინის შესახებ. მასში აღნიშნული იყო, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ ლენინის თავის ტვინის განსაკუთრებით მაღალი ორგანიზაციის შესახებ მთელი რიგი ნიშნების მიხედვით. მაგალითად, ტვინის ნაოჭების ხარისხისა და ხვეულების მიხედვით და ა.შ.

ლენინის თავის ტვინის შესწავლა გრძელდებოდა. მას ადარებდნენ ათობით „საშუალო“, ასევე ცნობილი ადამიანების — მაიაკოსკის, ბოგდანოვის და სხვების თავის ტვინთან. ფოხტი ამტკიცებდა, რომ ლენინის ტვინში უფრო მაღალია პროცენტი შუბლის წილის ნაოჭებისა, ვიდრე კუიბიშევის, ლუნაჩარსკის, მენჟინსკის, ბოგდანოვის, მიჩურინის, მაიაკოვსკის, აკად. პავლოვის, კლარა ცეტკინის, ციოლკოვსკის თავის ტვინში.

მეცნიერი არაფერს ამბობდა იმის შესახებ, რომ ეს იყო მძიმედ დაავადებული ადამიანის თავის ტვინი, რომელიც წონით (1340 გრ.), მართალია, საშუალოდ მიღებული ნორმის (1300-1400 გრ.) ფარგლებში თავსდებოდა, მაგრამ რომელსაც აშკარად ეტყობოდა ხანგრძლივი ავადმყოფობით გამოწვეული ანომალიები. პროფ. ზალკინდის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ლენინის ტვინი წარმოადგენდა სიფილისური პროცესის ზემოქმედებით გარდაქმნილ-გადაგვარებულ თავისებურ ქსოვილს“.

ფოხტმა ლენინის ტვინის შესწავლის, სათანადო ანატომიური ანალიზის საფუძველზე წამოაყენა ლენინის გენიოსობის მექანიკური თეორია. ამ თეორიის არსი არგუმენტირებული იყო ტვინში დიდი რაოდენობით და თავისებურად განლაგებული პირამიდისებური უჯრედებით. ამ თეორიით აღტაცებულნი იყვნენ კრემლში. მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. პოლიტიკური შეფერილობის და, არსებითად, პოლიტიკური დაკვეთის საფუძველზე შესრულებული ე.წ. „მეცნიერული გამოკვლევა“ ყალბი აღმოჩნდა.

საქმე იმაშია, რომ პროფ. ფოხტის „სენსაციური“ აღმოჩენის შემდეგ, სულიერ დაავადებათა გერმანულ ენციკლოპედიაში, აგრეთვე სხვა გამოცემებში გაჩნდა განსხვავებული მტკიცებულებანი. მაგალითად, პროფ. შპილმეირი ასაბუთებდა, რომ ასეთი დიდი რაოდენობის პირამიდისებური უჯრედები გააჩნიათ გონებრივად სუსტებსაც.

ასე რომ, ბოლშევიკების მცდელობა ნაძალადევად, დიდი ფულადი ჯილდოების ფასად დაემტკიცებინათ პროლეტარიატის ბელადის გენიოსობა, კრახით დასრულდა. საგულისხმოა, რომ მარცხი ერთნაირად შეეხო მაშინდელი პოლიტბიუროს ყველა წევრს, ვინაიდან ისინი ერთსულოვანნი იყვნენ აღნიშნულ მცდელობაში. შეიძლება თითოეულ მათგანს თავისებურად სჯეროდა ლენინის გენიოსობა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველას ჰქონდა სურვილი მატერიალურად დადასტურებულიყო ეს. განსხვავებული აზრი თვით სტალინსა და ტროცკის შორისაც კი არ დაფიქსირებულა. კერპისადმი დამოკიდებულება ერთნაირი იყო. სხვა საკითხია, თუ ვინ როგორ ფიქრობდა მისი „გენიოსობის“ და „გენიალური იდეების“ გამოყენებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერებისათვის ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს იმას, ლენინის ტვინს ეხებოდა შესრულებული გამოკვლევა, თუ სხვა ადამიანის ტვინს. მთავარია კვლევის ობიექტურობა და მისი მორალური სიჯანსაღე. სამწუხაროდ, არცერთი ნიშნით არ იყო გამორჩეული აღნიშნული მუშაობა. ბოლშევიკებმა მარქსის სიტყვებიც კი დაივიწყეს იმის შესახებ, რომ... დადგება დრო, როდესაც ადამიანის აზროვნებას დაიყვანენ თავის ტვინში მიმდინარე ფიზიკო-ქიმიურ ცვლილებებამდე, მაგრამ განა ამით ამოიწურება ყველაფერი? ასეთია მარქსის გამონათქვამის არსი. თუმცა მარქსი რა მოსატანია, მორალსა და საკაცობრიო ღირებულებას ისიც ღალატობდა. ფაქტი კი ერთია — პრობლემისადმი ასეთმა მიდგომამ, ნიჭიერების (გენიოსობის) მატერიალური საფუძვლების დირექტიული გზებით ძიებამ სასაცილო მდგომარეობამდე მიიყვანა ბოლშევიკები.

ნიჭიერების ბიოლოგიური საფუძვლების შესწავლის ამ (ფაქტობრივად საიდუმლო) ცდის შემდეგ ათეულობით წელი გავიდა. მომდევნო პერიოდში აღნიშნული მიმართულებით, ოღონდ ყველასადმი მისაწვდომი ფორმით, შესრულდა არაერთი გამოკვლევა, მაგრამ „ნიჭიერების მოლეკულების“ საკითხი კვლავ ღიად რჩება. ძიება გრძელდება.

სრული პროფესორი

ნოდარ ბარამიძე

გახსენება

ყველაზე დიდი ჯილდო სიყვარულია

ადამიანის ცხოვრებაში შრომა-გარჯის, ღვაწლის აღიარების ყველაზე დიდი ჯილდო სიყვარულია იმ კოლექტივისა, სადაც იგი რუდუნებით იღვწის და მთელ თავის შეგნებულ სიცოცხლეს, ცოდნასა და ენერგიას უშუალოდ უძღვნის მომავალი ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ბატონი ზურაბ ბაკურიძე ყოველთვის იყო თანამდგომი, კარგი მრჩეველი, მასთან მუშაობა ადვილიც იყო და დიდი პასუხისმგებლობაც. მისი მუშაობის სტილისთვის უცხო იყო პირადი ან კერძო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებები. სხვებთან ერთად მეც მქონდა პატივი თქვენი ხელმძღვანელობით ერთი წელი ბათუმის ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტში მემუშავა, მომესმინა ღრმაშინაარსიანი სწავლა-დარიგება, რომლის დროსაც გვეუბნებოდით, რომ ადამიანი მხოლოდ შრომისმოყვარეობით, მონდომებით შეიძლება გახდეს თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი, რომ ეს ცხოვრება ისე ხანმოკლეა წუთის დაკარგვაც კი არ გვეპატიება.

როგორ ლამაზად და შინაარსიანად გაატარეთ ეს წლები ორივე კოლექტივში. ვინც კი გიცნობდათ, ყველას თავი დაამახსოვრეთ ერთგულებით, პატიოსნებით და ყოველთვის მაგალითის მიმცემი იყავით. თქვენმა მეგობრებმა, თანამშრომლებმა და აღზრდილმა ხალხმა ერთი რამ აღმოვაჩინეთ, რომ: „ადამიანი კი არ კვდება, არამედ ცოცხლების თვალებს აკლდება შუქი“, რომ თქვენ ისევ ყველას გვხედავთ, ისევ გიყვარვართ, ისევ გვგულშემატკივრობთ, ჩვენს გვერდით ხართ. უბრალოდ სხვა განზომილებიდან, სხვა, უხილავი სამყაროდან გვიცქერით. ამიტომაც ისევ გვეიმედება თქვენი.

ნებისმიერი საქმის ერთგული იყავით, დიდი სპეციალისტი. განსაკუთრებული წვლილი მიგიძღვით იაპონიიდან საქართველოში ინტროდუცირებული კამელიების სხვადასხვა ჯიშის კვლევის საქმეში, გამოიყვანეთ არა ერთი ახალი ფორმა და კლონი.

სწორედ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს გიმტყუნათ გულმა, მაგრამ ნამდვილი გულის და სულის ტკივილი მაშინ დაიწყო, როდესაც თქვენი ერთადერთი და უსაყვარლესი ქალიშვილის ეკას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მესამე კურსის წარჩინებული სტუდენტის უდროოდ გარდაცვალებამ მოგაყენათ თქვენ და თქვენს მეუღლეს.

ბატონო ზურაბ, თქვენ ნათელი კვალი დატოვეთ ამ ცხოვრებაში, შრომისმოყვარეობისა და კაცურკაცობის კარგი მაგალითი უჩვენეთ ყველას. ამიტომაც არ უწერია თქვენს სახელს დავიწყება. მე, კი ერთგულებისა და პატივისცემის ნიშნად მინდა მოგიძღვნათ უკანასკნელი საჩუქარი და ლექსით გამოვხატო დიდი მწუხარება, რომელიც არასოდეს განელდება ჩვენს გულებში.

ბატონ ზურაბ ბაკურიძის ნათელ ხსოვნას
გუშინ მომავალზე ვსაუბრობდით,
დღეს კი ცას დაედო ნაცრისფერი,
თითქოს ჟრუანტელი დამიარა
და თან გაიყოლა ყველაფერი.
გუშინ მომავალზე ვსაუბრობდით,
დროის უქმად სვლასაც არ ვნანობდი,
ახლა ის სიტყვები მახსენდება
„ერთ წუთს ნუ დაკარგავ“, რომ ამბობდით.
გუშინ მოგონება არ მაკრთობდა,
გუშინ ზეცა იყო სხივიანი,
დღეს კი მოშრიალე კამელიებს,
ფიქრი შეჰპარვიათ სევდიანი.
გუშინ იმედებით სავსე გრძნობამ,
ახლა მისი სული დაიფიცა,
წყნარად ჩამოგორდა ცრემლი სველი
და აქ, ჩვენს გულებში ხსოვნად იქცა.

ნანა ჯაბნიძე – სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ–თანამშრომელი

ამაგდარი მეცნიერი და ღირსეული პიროვნება

ზურაბ (ხასან) ბაკურიძე დაიბადა 1947 წელს 15 ნოემბერს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აგარაში. იქვე წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, სწორედ აქ გამოავლინა მან მეცნიერული და ორგანიზატორული მოღვაწეობისათვის საჭირო ყველა თვისება და ნიჭი.

1969 წელს სწავლა ასპირანტურაში განაგრძო, მისი დამთავრების შემდეგ კი წარმატებით დაიცვა დისერტაცია და სოფლის მეურნეობის მცენარეთა კანდიდატის წოდება მიენიჭა. მეტად ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში სადაც მან ოთხ ათეულ წელზე მეტი იმუშავა და ერთ-ერთ წამყვან მეცნიერად ჩამოყალიბდა.

მრავალწლიანი მეცნიერული კვლევებით, მის მიერ გამორჩეული იქნა იაპონიიდან ინტროდუცირებული კამელიის ახალი პერსპექტიული სელექციური ფორმები, რომლებიც არსებულ ჯიშებთან შედარებით ამჟღავნებენ უპირატესობას და მაღალპროდუქტიულია, შეიმუშავა მიღებული ფორმების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია და რეკომენდაციები საქართველოს სუბტროპიკული ზონის პირობებისათვის.

1987 წელს მიენიჭა უფროსი მეცნიერ თანამშრომლის წოდება.

არანაკლებ ნაყოფიერი იყო მისი მუშაობა საქართველოს აგრარული უნივერისეტის ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელად. ასევე მრავაფეროვნებით გამოირჩეოდა მის მიერ წაკითხული სალექციო კურსის პროგრამა.

ბატონი ზურაბის კალამს ეკუთვნის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ორი მონოგრაფია და მეთოდური რეკომენდაციები. ათეულობით სამეცნიერო და პუბლიკაციური სტატია ჟურნა-გაზეთებში. იყო შვიდი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი, რამდენიმე სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის რედაქტორი და რეცენზენტი. არაერთხელ მიწვეული იყო თურქეთის, გერმანიის და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გამართულ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციებსა და კონგრესებზე, სადაც მისი მოხსენებები მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგანი იყო.

ბატონი ზურაბ ბაკურიძე დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა მეცნიერთა სწავლა-აღზრდის საქმეს. მისი ხელმძღვანელობით ბევრმა ახალგაზრდამ დაიცვა სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომი. არჩეულ იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ.

მისი დამსახურება და ღვაწლი სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში ხელისუფლების მიერ უყურადღებოდ არ დარჩენილა, მიღებული ქონდა მრავალი ჯილდო, საპატიო სიგელი, საქართველოს განათლებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრების მადლობები.

გზა მეცნიერებაში და პედაგოგიურ საქმიანობაში, რომელიც ზურაბ ბაკურიძემ სახელოვნად განვლო, ადვილი როდი იყო. ვინ მოთვლის, რამდენი უძილო ღამე და ენერგია შეალია მეცნიერულ საქმიანობას, სიცოცხლის მთელ მანძილზე, რისი გაკეთებაც მან შეძლო, მეტად დიდია და მას დავიწყება არ უწერია.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული
ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტი

ნოდარ მამულაძე
ღირსეული პიროვნება და მამულიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტმა დიდი დანაკლისი განიცადა. 60 წლის ასაკში გარდაიცვალა ამავე ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი ნოდარ მამულაძე.

ნოდარ მამულაძე დაიბადა 1950 წლის 7 ნოემბერს ხულოს რაიონის სოფ. კალოთაში, ხიხაძირის საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ის ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტში სატყეო–სამეურნეო ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სამუშაოდ ინიშნება ხულოს რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორის მოადგილედ, ხოლო ხულოსა და შუახევის რაიონების სატყეო მეურნეობების გაერთიანების შემდეგ დირექტორად.

ბატონი ნოდარის ნიჭიერება, რთულ სიტუაციებში სწრაფად გარკვევის საოცარი ალღო და უნარი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ რეგიონის ხელისუფლების წარმომადგენლებს. იგი ჯერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო დეპარტამენტის თვმჯდომარის მოადგილედ, ხოლო შემდეგ მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დააწინაურეს, სადაც ათ წელზე მეტი იმოღვაწა, სადაც გამოავლინა კარგი ხელმძღვანელის ის პოტენციური შესაძლებლობანი, რაც უხვად იყო წარმოდგენილი მის პიროვნებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მაღალ თანამდებობეს არ შეუცვლია ნოდარის შინაგანი მდიდარი ბუნება და კეთილშობილება. როგორი თბილი, კეთილი, გულისხმიერი და საოცრად ყურადღებიანი იყო მანამდე, ისეთივე დარჩა ხელმძღვანელ სამეურნეო და პედაგოგიურ სამუშაობებზე გადაყვანის შემდეგაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონ ნოდარის დაუღალავი ზრუნვა ჩვენი დედაბუნებისადმი – იგი მისი დიდი ქომაგი იყო. ამის თქმის საფუძვლეს გვაძლევს მისი სისტემური ყურადღება ტყეების მოვლა–დაცვის, კვლავწარმოების და რაციონალურად გამოყენების საკითხებისადმი. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და გათავისებული ის დიდი სოციალურ – ეკონომიკური და ეკოლოგიურ მნიშვნელობა, რაც ტყეებს გააჩნიათ ქვეყნის კეთილდღეობისათვის, კარგად იცოდა თუ რა დიდი ზიანის მოტანა შეეძლო მთის ტყეებში არასწორი მეურნეობის წარმოებას, კარგად იცოდა აჭარის მთიანეთის რთული რელიეფის პირობებში, თუ რა დიდი ეროვნული მნიშვნელობა ენიჭება მთის ფერდობებზე განლაგებულ ტყეების სოციალური და ეკოლოგიური ფუნქციების შენარჩუნებასა და გაძლიერებას.

სამეურნეო საქმიანოს პარალელურად ის სწავლას აგრძელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს გიორგი გიგაურის ხელმძღვანელობით, რომლის დამთავრების შემდეგ იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „აჭარის მაღალი მთის დეგრადირებული მუქწიწვიანი ტყეების აღდგენა– განახლების საკითხებზე“, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ტყის საკურორტო – ტურისტული და რეკრეაციული გამოყენების პერსპექტივებზე. ამიტომაც სადისერტაციო საბჭოს კომპეტენტურმა კომისიამ ერთხმად აღიარეს ნაშრომის მეცნიერული სიახლე, თემის აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა.

გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, ერთი მონოგრაფია, ათეულობით სამეცნიერო–საგაზეთო პუბლიკაცია. დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა კადრების სწავლა–აღზრდის საქმეს. ხელმძღვანელობდა ორი დოქტორანტისა და სამი მაგისტრანტის მომზადებას. გამოსაცემად ამზადებდა უმაღლესი სასწავლებლის სატყეო საქმის პროფილის სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოს: „სატყეო ტაქსაცია“, რომელიც დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად, საქმისადმი ჩვეული ერთგულებით ხელმძღვანელობდა აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტზე, დეკანის მოადგილის თანამდებობაზე, სასწავლო და სამეცნიერო დარგს. მადლიერი შრომითი კოლექტივები, მრავალრიცხოვანი მეგობრები, სტუდენტი–ახალგაზრდობა და ლექტორ–მასწავლებლები მუდამ გულთბილად მოიხსენიებენ ბატონ ნოდარს, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა სადაც კი უმოღვაწია. დიდად სამწუხაროა, რომ იგი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და აღმავლობის პერიოდში წავიდა ამ ქვეყნიდან. დაამწუხრა ოჯახი, ახლობლები, მეგობრები და მთლიანად ჩვენი საზოგადოება.

დრო ადამიანთან ერთად არსებობს, მაშასადამე – ხსოვნაც. ამბობენ, ადამიანი რაღაცით უბრუნდებაო ქვეყანას. ბატონი ნოდარის სულის გამონათება სიკეთეში უნდა ვეძებოდ მხოლოდ. სიკეთე კი მარადიულია.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტი

პროფესორი შოთა ლამპარაძე 60 წლისაა

სუბტროპიკული მემცენარეობის ახალგაზრდა თაობის მეცნიერ–მკვლევართა აღმზრდელს, სოფლის მეურნეობის აკადემიურ დოქტორს, საქართველოს აგრარული მეცნიერების აკადემიის წევრ–კორესპონდენტს, ასოცირებულ პროფესორს შოთა ლამპარაძეს 60 და სამეცნიერო – პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წელი შეუსრულდა.

შოთა ლამპარაძე დაიბადა ქედის რაიონის სოფელ მერისში. 1967 წელს წარმატებით დაამთავრა ქობულეთის რაიონის სოფ. მუხაესტატეს საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტში. სტუდენტობის პერიოდში გამოამჟღავნა დიდი ნიჭი და მიდრეკილება სამეცნიერო–კვლევითი მუშაობისადმი, მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში.

ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ რექტორისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1976 წელს სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში. მან გამოავლინა მკვლევარისათვის დამახასიათებელი დიდი ნიჭი – ახლის ძიების უნარი, პრობლემების გაშუქების უნარ–ჩვევები. ამაში დიდი როლი ითამაშა მისმა საქვეყნოდ ცნობილმა მეცნიერ ხელმძღვანელებმა, აკადემიკოსებმა ფილიპე მამფორიამ და შოთა გოლიაძემ. განსაკუთრებული შრომით და მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მან დაამუშავა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის სხვადასხვა ჯიშების სამეურნეო და ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა“ და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. შესწავლილი ჯიშებიდან ერთი – მანდარინი ტიახარა უნშიუ (რომელიც შემოტანილი იყო აკადემიკოს შოთა გოლიაძის მიერ) დარაიონებულია, ხოლო ორი სუპერ საადრეო ჯიში კი ოკიცუ ვასე და მიხო ვასე ინერგება წარმოებაში.

მრავალწლიანი სელექციური კვლევის შედეგად მის მიერ გამოვლენილი იქნა ლიმონმეიერის ახალი პერსპექტიული სელექციური ფორმები: „ციხისძირი“, „ალამბარი“ და „ფერია“, რომლებიც კომპლექსური შეფასებით, უკვე არსებულ დარაიონებულ ჯიშებთან შედარებით ამჟღავნებენ უპირატესობას და იძლევიან მაღალხარისხოვანი სარგავი მასალის წარმოების გაზრდისა და ბაღების მოსავლიანობის ამღლების საშუალებებს. შეიმუშავა მიღებული ფორმების დარაიონების ზონალური რეკომენდაციები საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული პირობებისათვის. ასევე თანაავტორებთან ერთად მასობრივი გამორჩევის გზით მიღებული აქვს მანდარინის ადრემწიფადი რეგულარულად უხვმსხმოიარე ფორმები: „შავიშვილი“ და „ქობულეთი“.

პროფესორ შოთა ლამპარაძის მთლიანი შემოქმედება და საქმიანობა ძირითადად ორ ეტაპს მოიცავს –ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ–სამეურნეო მოღვაწეობის პერიოდს. ის წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე, ხელმძღვანელობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესის განყოფილებას და მეცნიერულ მოღვაწეობასთან მას კავშირი არ გაუწყვეტია. იგი მდიდარ მეცნიერულ ცოდნასა და გამოცდილებას წარმატებით უხამებდა საზოგადოებრივ – პრაქტიკულ საქმიანობას, ბატონი შ. ლამპარაძის განსაკუთრებულმა შრომისმოყვარეობამ, აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისა და სიახლეების წარმოებაში დანერგვით მიღებულმა შედეგებმა, იგი დააწინაურა საქართველოს წამყვან აგრარული მეცნიერების რიგებში, რის გამოც მას კარგად იცნობენ, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, ორი მონოგრაფია და მეთოდური რეკომენდაციები, ათეულობით საგაზეთო სამეცნიერო–პუბლიცისტური სტატია. არის მრავალი სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი, ოთხი სახელმძღვანელოსა და ორი მონოგრაფიის რედაქტორი და რეცენზენტი. არაერთხელ გამოსულა მოხსენებით თურქეთის, პოლონეთის, გერმანიისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გამართულ კონგრესებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე, სადაც მისი მოხსენებები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა – რამდენადაც მისი მეცნიერული შრომები წარმოადგენს კონკრეტული მასალით არგუმენტირებულ და ლოგიკურად დასაბუთებულ ნაღვაწს, ასევე იგრძნობა მისი უაღრესად პრინციპულობა, აბსოლუტურად ობიექტური და ზედმიწევნით კორექტული მიდგომა აქტუალური საკითხებისადმი – ფარგლებს არასდროს გასცილებია.

მისი ამჟამინდელი სამეცნიერო კვლევის კრედო არის აჭარა–გურიაში არსებული ციტრუსოვანთა გენოფონდის გადარჩენა, გამრავლება და მათი გამოყენება სასელექციო მუშაობაში.

პროფესორი შოთა ლამპარაძე დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა მეცნიერთა სწავლა აღზრდის საქმეს. მისი ხელმძღვანელობით დაცული იქნა არა – ერთი სადოქტორო დისერტაცია, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომი, ამჟამად ხელმძღვანელობს ორ დოქტორანტს. არჩეულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრად, აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის თავმჯდომარედ და სადოქტორო დისერტაციების დაცვის საბჭოს სწავლულ მდივნად.

მისი დამსახურება და ღვაწლი სამეცნიერო – პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში ხელისუფლების მიერ უყურადღებოდ არ დარჩენილა მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, საპატიო სიგელი, საქართველოს განათლებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრების მადლობები, დაჯილდოვებულია სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლით. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერიტეტის დაარსების 75-ე წლისთავთან დაკავშირებით გადაეცა საპატიო სიგელი წარმატებული სამეცნიერო–პედაგოგიური საქმიანობისათვის.

მეცნიერ–მკლევარისა და კარგი პედაგოგის პროფესორ შოთა ლამპარაძის გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სამეცნიერო შრომები, ნათლად წარმოაჩენენ მისი მიერ, შრომითა და გარჯით განვლილ ცხოვრების გზას. ამიტომ ვულოცავთ მას ამ ღირსახსოვარ თარიღს, ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამეცნიერო – პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

ოთარ შაინიძე – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი. ბათუმის რსუ–ს აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.**რეზო ჯაბნიძე** – ფაკულტეტის სრული პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი.**ვანო პაპუნიძე** – ფაკულტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი — შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბრძანება N 01-09/119

ქ. ბათუმი 23. 03. 2011 წ.

იმ პირთა მიმართ რსუ-ს საინჟინრო–ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2010-2011 სასწავლო წელს და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

რსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე პირს უწყდება რსუ-ს სტუდენტის სტატუსი. გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იქნას აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

რსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2009 წლის 27 ოქტომბრის #125 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“-ის მე-3 მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, სტუდენტს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობის გამო.

რსუ-ს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, გიზო ფარცხალაძის 2011 წლის 04 მარტის #620 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილ იქნა იმ სტუდენტთა სიები, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2010-2011 სასწავლო წელს, ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და რსუ-ს წინაშე ერიცხებათ აკადემიური დავალიანებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კანონშესაბამისია დაიწყოს ამ პირთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2009 წლის 27 ოქტომბრის #125 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“-ის მე-3 მუხლის 15-ე პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-76-ე და 95-101-ე მუხლების შესაბამისად, რსუ-ს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, გიზო ფარცხალაძის 2011 წლის 04 მარტის #620 მოხსენებითი ბარათით საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად იმ სტუდენტთა (დანართი 1) მიმართ, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა **2010-2011 სასწავლო წელს** და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები;

2. დაინტერესებულ პირებს — სტუდენტებს (დანართი 1), ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ **10 დღის ვადაში** წარმოადგინონ რსუ-ს კანცელარიაში წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით;

3. რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცეს **2011 წლის 01 აპრილის შემდეგ,** ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე;

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით ეცნობოთ დაინტერესებულ პირებს, რისი უზრუნველყოფა დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატსა და კანცელარიას;

5. ინფორმაცია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს რსუ-ს ფაკულტეტზე თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე, რისი უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის მდივნებს, **ასევე განთავსდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“**;

6. ბრძანების რსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსების უზრუნვეყოფა დაევალოს საინფორმაციო-ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს, ხოლო გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“ გამოქვეყნება — გაზეთის რედაქტორს;

7. ბრძანების მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული დავალების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს შესაბამის პასუხისმგებელ პირებს, რომლებმაც აღსრულების შესახებ აცნობონ ბრძანების გამომცემ პირს;

8. ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდეს სსიპ — შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. #35;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. #52);

10. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანაველ

რექტორი, პროფესორი ა.ბაკურიძე

დანართი 1

რსუ-ს საინჟინრო–ტექნოლოგიური ფაკულტეტის უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომელთა პროგრამის ვადა (2,5 წელი) ამოიწურა 2010-2011 სასწავლო წლის პირველ სემესტრში და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

უმაღლესი პროფესიული — სპეციალობა „სამოქალაქო მშენებლობა“

1. ბერიძე მარადი- 5 კრედიტი
2. გოგოხია შამილ-5 კრედიტი
3. გორგოშაძე ანზორ-5 კრედიტი
4. კახიძე ვახტანგ-5 კრედიტი
5. ფუტკარაძე მაკა-5 კრედიტი
6. შარაშიძე მამუკა-35 კრედიტი
7. აბულაძე მათე — 55 კრედიტი
8. ძნელაძე ზაზა- 90 კრედიტი

უმაღლესი პროფესიული- სპეციალობა „ნავთობის და გაზის ტექნოლოგია“

1. მუფთიშვილი რამაზ-15 კრედიტი
2. ზაქარაძე გოჩა- 80 კრედიტი

უმაღლესი პროფესიული- სპეციალობა „ტელეკომუნიკაცია“

1. თურმანიძე თამუნა-30 კრედიტი
2. ხალვაში გიორგი-5 კრედიტი

უმაღლესი პროფესიული- სპეციალობა „ელექტროენერგეტიკა“

1. გვაზავა გიორგი-5 კრედიტი
2. დევაძე რუსლან-30 კრედიტი

ახალი წიგნები



სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის რეგიონალური დირექტორის ტომ ტრიერის, ექსპერტების ხოდვიგ ლომის და დევიდ ზაკონის რუსულ ენაზე დაბეჭდილი წიგნი „ეთნოსებს შორის ურთიერთობის საკითხები აფხაზეთში.“ ევროპელმა მკვლევარებმა წიგნთან ერთად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოუგზავნეს წერილი,სადაც ნათქვამია შემდეგი: ვითვალისწინებთ რა თქვენი უნივერსიტეტის როლსა და მნიშვნელობას სახელმწიფო პოლიტიკის რჩევისა და განხორციელების საქმეში, დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს წიგნი გახდება ფასეული და საინტერესო ინფორმაცია თქვენი ბიბლიოთეკისათვის. წიგნში გადმოცემულია ეთნო–პოლიტიკური და ინტერ–ეთნიკური ურთიერთობის საკითხები აფხაზეთში და მოიცავს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა დემოგრაფიული სიტუაცია აფხაზეთში, ენა და საგანმანათლებლო პოლიტიკა, სამოქალაქო საზოგადოება, მასმედია, ეთნიკური ჯგუფები აფხაზეთში. აღნიშნულ წიგნს თან ერთვის ნაწილ–ნაწილ დაყოფილი და დაქუცმაცებული საქართველოს რუქა და ასევე აფხაზეთის ეთნიკური რუქა. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილ დანართში „ეთნიკური ჯგუფები აფხაზეთში“ აფხაზებთან, სომხებთან, რუსებთან, ბერძნებთან, ესტონელებთან, გერმანელებთან, პოლონელებთან და თურქებთან ერთად, რაღაც ორ გვერდზე მოხსენიებულნი არიან ქართველები, რომლებიც თურმე 1860 წლიდან იწყებენ დასახლებას აფხაზეთში და ისიც, რუსული კოლონიური პოლიტიკის საფუძველზე. ასევე 1937–1953 წლებში სტალინი–ბერიას რეპრესიების ეპოქაში აფხაზეთში დასახლებულა დიდი რაოდენობა ქართველების და ამის მსგავს წიგნში ბევრს შეხვდება მკითხველი. იმედია ევროპელი მკვლევარების და ექსპერტების ზემოთ აღნიშნული წიგნით დაინტერესდებიან ისტორიკოსები და თავის მართალ სიტყვასაც იტყვიან.

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო ზურაბ კაცელაშვილის ნაშრომი „საქართველოს პირველი წამებული კათალიკოს –პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ევდემოზ II დიასამიძე (1634–1649). წიგნში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული ევდემოზ



დიასამიძის ცხოვრება –მოღვაწეობა. ასევე მასში გაანალიზებულია როსტომ ხანის აღმშენებლობითი საქმიანობა. კერძოდ ნათქვამია, რომ მისი მმართველობის წლებში(1632–1658), აშენდა და განახლდა ეკლესია–მონასტრები, ქალაქი და სოფლები, გაიყვანეს გზები, აშენდა ხიდები, ქარვასლები და ყველა ამ საქმეში როსტომ ხანს გვერდში ედგა ევდემოზ II დიასამიძე, რომელიც მარიამ დედოფლის სულიერი მოძღვარი იყო. მისი მითითებით განაახლა მარიამ დედოფალმა ქართლის ცხოვრება. მაგრამ ნაშრომის ავტორს მიაჩნია, რომ როსტომ ხანი ყოველივე ამას აკეთებდა თავისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. იგი მხოლოდ ქართლის ცენტრალურ ციხე–სიმაგრეებს და არა ირანიდან ქართლში შემოსასვლელი გზების გადამკეტ ციხე–სიმაგრეებს ამაგრებდა. ასევე მას მიაჩნია, რომ როსტომმა ქართლში კასპის მახლობლად ახალი ქალაქი სომხებისთვის ააშენა. ავტორის ეს გამონათქვამი ძალიან ჰგავს სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაეცის გამონათქვამს, რომ დავით აღმაშენებელმა გორი სომხებისთვის ააშენაო. ავტორის აზრით გზები და ხიდები და მათ შორის დღემდე შემორჩენილი აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი „წითელი ხიდი“ ემსახურებოდა საქართველოს ტერიტორიების მიბმას ირანის პროვინციებთან. ჩვენ კი ვიტყვით, რომ ზემოთ აღნიშნული უმნიშვნელოვანესი საგაჭრო გზა აკავშირებდა საქართველოს მსოფლიოსთან. მკვლევარი ცრუ პატრიოტიზმად აღიქვამს როსტომ ხანის ირანის შაჰისადმი გაკეთებულ განაცხადს: „რად მინდა უყმო ქვეყანაო“, თუმცა ისტორიკოსთა ერთ ნაწილს როსტომის ეს გამონათქვამი შაჰის მიერ განხორციელებული ქართული ეთნოსის გენოციდის პოლიტიკის მხილებად მიაჩნია.



რა თქმა უნდა დაპირისპირება როსტომ ხანსა და ევდემოზ დიასამიძეს შორის წმინდა რელიგიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ შეთქმულებას კანონიერი მეფის წინააღმდეგ სათავეში ედგნენ თავადაზნაურები ზაალ არაგვის ერისთავის ხელმძღვანელობით, რომელსაც უფრო მეტად პირადი ინტერესები გააჩნდა სამეფო კარზე. მისი განაწყენების მთავარი მიზეზი იყო როსტომ ხანის მიერ მისი და მარიამ დედოფლის შვილიშვილის და შვილობილის მემკვიდრედ არცნობა. სწორედ ამის შემდეგ გაუგზავნეს კახეთში წერილი თეიმურაზს და მოუხმეს ქართლში გასაბატონებლად. აქედან გამომდინარე, ვერაფრით ვერ დავეთანხმებით ნაშრომის ავტორს, რომელიც აცხადებს, რომ როსტომ ხანის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების სულის ჩამდგმელი იყო ევდემოზ II დიასამიძე. ჯერ ერთი, ქართველი ერის მწყემსმთავარი, შემდეგ ერის მიერ წმინდანად აღიარებული, საქართველოს კათალიკოს –პატრიარქი ვერც და არც წარუძღვებოდა აჯანყებას. ვფიქრობთ, რომ ორივე მხრიდან ევდემოზ დიასამიძე საგვარეულო ინტრიგებში იყო ძალით ჩართული და ბოლოს იგი შეთქმულების მსხვერპლი გახდა. მიგვაჩნია,რომ ეს ამბავი ჩვენი ერის სირცხვილის ისტორიის კიდევ ერთი ფურცელია, ერის ტრაგედიაა, როცა ხორციელი დაუპირისპირდა სულიერს.

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო 2010 წელს გამოცემული გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ვისაც სურს ღრმად და სრული სიზუსტით ჩაწვდეს ქართულ სამოქალაქო სამართალს, ისინი გვერდს ვერ აუვლიან გერმანიის კოდექსს და მის განმარტებებს. 1997 წელს საქართველოში დამკვიდრებული სამოქალაქო კოდექსის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი გერმანელი სამართალმცოდნეებიც.

ზურაბ ჭეჭელაშვილის ქართულ ენაზე ნათარგმნი გერმანული კოდექსი შესრულებულია ზუსტი და გასაგები იურიდიული ენის მეშვეობით. მთარგმნელს დიდი მუშაობა გაუწევია გერმანიის სამოქალაქო კოდექსში გამოყენებული იურიდიული ტერმინების და ცნებების შესაბამისი ქართული ტერმინების შესაქმნელად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მნიშვნელოვანწილად ეფუძნება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მოდელს.

ნაჩუქარი წიგნები

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო პროფესორ რამაზ სურმანიძის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნები. ბატონი რამაზი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანია, რაც განსაკუთრებით აისახა მის სამწერლო თუ სამეცნიერო შემოქმედებაში. იგი ფართო დიაპაზონის მკვლევარია. ნაჩუქარ წიგნებს შორის არის მის მიერ გამოცემული წიგნები „აფხაზები აჭარაში“ და „ივანე ანდრონიკაშვილი – ბათუმის ქალაქის თავი“. წიგნში „აფხაზები აჭარაში“ საუბარია აფხაზთა პირველ დასახლებაზე აჭარის რეგიონში. მასში ასევე ფართოდ არის წარმოჩენილი აფხაზური გვარები და მათი დამსახურება რეგიონის განვითარების საქმეში. წიგნში გამოყენებულია მდიდარი ფოტო–დოკუმენტური მასალა.

მეცნიერის წიგნში „ივანე ანდრონიკაშვილი–ბათუმის ქალაქის თავი „ საუბარია 14 წლის განმავლობაში ამ პიროვნების დიდ დამსახურებაზე ბათუმის განაშენიანების და მისი განვითარების საქმეში. მასში ასევე გადმოცემულია ივანე ანდრონიკაშვილის წერილები,რასაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ნაჩუქარ წიგნებს შორის არის დევიდ ბრაუნდის, ქეთევან ჯავახიშვილის და გურამ ნემსაძის ახალგამოცემული ნაშრომი „საგანძური ზღუდერიდან“, სადაც აღწერილია ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან ახ.წ.200–250. წიგნში მდიდარი ფოტო არქეოლოგიური მასალაა გამოყენებული.

ყურადღების ღირსია ნანი გუგუნავას და ლამარა ბოლქვაძის ახალგამოცემული წიგნი „აჭარის ქალთა საბჭოს ისტორიიდან“. ეს ქალბატონები წლების განმავლობაში აჭარაში სათავეში ედგნენ კულტურისა და განათლების საქმეს, ასევე აჭარის ქალთა რესპუბლიკურ საბჭოს და ბევრი კარგი საქმეც გააკეთეს. დღეს უდავოდ დასაფასებელი და გასათვალისწინებელია მათ მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა და გამოცდილება, რაც საინტერესოდ არის ასახული წარმოდგენილ წიგნში.

ილიას ბიბლიოთეკა

კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით დაიბეჭდა 10 უბის წიგნი, სადაც ასახულია ქართველი კლასიკოსების შემოქმედება. თვითოეულ უბის წიგნს წამძღვარებული აქვს სხვადასხვა ავტორთა მიერ წარმოდგენილი წინასიტყვაობა. სერია „ილიას ბიბლიოთეკის“ დამფინანსებელია ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. როგორც წიგნის ანოტაციიდან ვგებულობთ, საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პოზიციას და ასევე ფონდი არ არის პასუხიმგებელი მასალის შინაარსზე.

წიგნში „სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქები 1917–1927წწ.“ წარმოდგენილ წინასიტყვაობაში ლევან გიგინეიშვილი მონარქიულ–რელიგიური ხედვის ნათელ მაგალითად ასახელებს ისეთ ღირსეულ პიროვნებას, როგორიცაა დიმიტრი ყიფიანი. იგი მისთვის რუსეთის იმპერატორის რელიგიური ფიგურაა. მის სამსახურში ყოფნა კი რელიგიური მოვალეობაა. ლევან გიგინეიშვილი დიმიტრი ყიფიანს ადარებს ლიტერატურულ პერსონაჟს ლუარსაბ თათქარიძეს, რადგან თურმე ერთ რამეში ისინი სავსებით ჰგვანან ერთმანეთს, კერძოდ ორივეს მონარქია



და ბატონყმობა ღვთიურ დაწესებულებად მიაჩნდათ.

წინასიტყვაობის ავტორი „შიზოფრენიას“ არქმევს გარკვეულ ზნეობრივ–მსოფლმხედველობრივ გაორებას, რომლისგანაც თურმე გრიგოლ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი არ ყოფილან თავისუფალნი. ივანე გიგინეიშვილის ყოველივე ზემოთ თქმული მკითხველმა განსაჯოს, მხოლოდ ერთს ვიტყვით, რომ დიმიტრი ყიფიანის და გრიგოლ ორბელიანის გაორებული სულის ადამიანებად წარმოჩენა მკრეხელობაა და მეტი არაფერი. ეს ვრცელი კრიტიკული წინასიტყვაობა ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს, კერძოდ დაპირისპირებას მამემს და შვილებს შორის. გული სიამაყით გევსება, როცა კითხულობ რატი ამაღლობელის წინასიტყვაობას წიგნში „დიმიტრი ყიფიანი“, სადაც წარმოჩენილია წმინდანად აღიარებული ამ პიროვნების შინა სახე.

უბის წიგნის „ივანე ჯავახიშვილი“ წინასიტყვაობაში გიგა ზედანია წერს, რომ ნაკლებად ზუსტი აზროვნების მოყვარულები დღესაც კი იტყვიან, რომ ევროპაში თუ უნივერსიტეტები იყო, ჩვენ სამაგიეროდ, გელათის და იყალთოს აკადემიები გვქონდაო. ჯერ ერთი იყალთოს აკადემიას თვით ამ ძეგლის აღმწერი ქართველი მეცნიერები სკეპტიკურად უყურებენ, ხოლო რაც შეეხება მსოფლიო კულტურის ისტორიაში სხვა ათინად და მეორე იერუსალიმად წოდებული, დავით აღმაშენებლის დროინდელი გელათის აკადემია დღევანდელი ქართველის სამსჯელო არ უნდა იყოს.

დათო ტურაშვილი წინასიტყვაობაში „სტატიები ემიგრაციაში გამოცემული გაზეთებიდან“ შესანიშნავად ეხმაურება დღევანდელობას, როცა აღნიშნავს, რომ რუსულ არეალს მაშინ დავშორდებით, როცა არა მხოლოდ დეკლარირების დონეზე დავიწყებთ თანამედროვე ევროპული ღირებულებების დამკვიდრებას საქართველოში და ყველანი, ჩვენც და ხელისუფლებაც დავიჯერებთ, რომ დემოკრატია სისუსტე კი არა, სინამდვილეში უზარმაზარი ძალაა.

გვერდი მოამზადა

მერაბ მეგრელიშვილმა



რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე
სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
იური ბიბილეიშვილი
ბიჭიკო დიასამიძე
მამია ფაღავა
ნანა ცეცხლაძე
მერაბ მეგრელიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „პრეპრინტში“
(832) 93-46-14, 99-98-82
მის: რუსთაველის 40-40ª
Email: info@preprint.ge